


საქართველოს მუზეუმი

საქართველოს
მუზეუმი

ნატატული №



შინაარსი

I—სათიბი.—დექსი ი. ბელაიშვილისა	3
II—ნადირთა პატრონი.—ვაჟა-ფშაველასა	5
III—ოქროს ბადე.—(ტეშინუდით) ა. უუმისთაველისა	12
IV—ამომავალ მზის ქვეყნის ბავშვები.—თეო. კანდეაკისა	23
V—ობლის გაზაფხული.—(დექსი) ვ. ტუქსიშვილისა	29
VI—ცელქის დღიურიდან.—(გაბბურტონისა) იასონ ნიკო- ლაიშვილისა	31
VII—წმ. ვერონიკას ჩადრი.—სეღმა დაგურდუფისა (გა- გრძელება, მავ. დ.—ძისა	31
VIII—მითოლოგია.—ტროადას ომი, (მსხვერპლის შეწირ- ვა) ა. შიქაბერიძისა	52
IX—ბოტანიკური საუბარი.—(გაგრძელება) სოლომონ ჭურდიანისა	57
X—მეტე და მოქვიფე მღვდელი.—(თარგმანი) ვასო ვაჟა- რაძისა	61
XI—გისართობი:—ა) შარადა, ვ. ჭიჭინაძისა,—ბ) ცხრი- ნი და ათინი, ვიგო ვაჟა-რაძისა,—გ) რეზუსი და ახსნა	63





საქართველოს
საბჭოთაო

ნაპარული

საქართველოს ელექტრონიკის

წილობრივი გამომცემი



თბილისი, 1908 წ.

219.



თბილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართულთა ახსნაგადასახი.


შინაარსი

I—სათიბი.—დექსა ა. ბელაშვილისა	3
II—ნადირთა პატრონი.—ვაჟა-ფშაველასა	6
III—ოქროს ბადე.—(გერმანულით) ა. უმასთაველასა	12
IV—ამომავალი შხის ქვეყნის ბავშვები.—თეო კანდეაკისა	23
V—ობლის გაზაფხული.—(დექსა) ვ. ტუქსიშვილისა	29
VI—ცელქის დღიურიდან.—(გაბერტონისა) ანსონ ნიკო- ლაშვილისა	31
VII—წმ. ვერონიკის ჩადრი.—სელმა ჯაგერდუფისა (გა- გრძელება, შავ. დ—ძისა	31
VIII—მითოლოგია.—ტროადის ომის, (მსხვერპლის შეწარ- ვა) ა. შიქაბერაძისა	52
IX—ბოტანიკური საუბარი.—(გაგრძელება) სოფლის ქუჩიანისა	57
X—მეფე და მოქიფე მღვდელი.—(თარგმანი) ვასო ჯაფა- რაძისა	61
XI—გასართობი:—ა) შარადა, ვ. ჭიჭინაძისა,—ბ) ცხრი- ნი და ათიანი, გიგო ჯაფარაძისა,—გ) რებუსი და ახსნა	63



ს.ტ.

ს ა თ ი ზ ი



უხლზენდ წამოზრდილს მწვანე ბაღახში
გააქვს სრიალი შოლესილ ცელსა,
სთიბაცს და სთიბაცს გოგია ბაღახს,
კარგი მოსივლით აღიდებს ღმერთსა.

მადლობა უფალს, აღარ მოშივა
ჩემსა წიქარას, ჩემსა ნიკორას.
ვინც ამბობს, რომ წელს თივა არ ვარგა,
სცდება, მერწმუნეთ, უფალსა სცოდავს!

აკურთხოს ღმერთმა ამის ბარაქა,
როგორ გადმოდის გორასავეითა,
ერთ ცელ შემოკრულ ბაღახის გროვას
ვერც-კი აზიდავ ორივ მკლავითა.

მუხლზედ წამოზრდილს მწვანე ბალახში
 გააქვს სრილი მოლესილ ცელსა,
 სთიბავს და სთიბავს გოგია ბალახს,
 კარგი მოსაველით აღიდებს ღმერთსა.

ი. ბელიაშვილი





ნადირთა კატრონი



ელიზბარს ძალიან უყვარდა ნადირობა: კვირაში ოთხ დღეს ტყეში ატარებდა; „ტურასავით ტყეში დაძვრებაო“, ელიზბარზე ხალხიც ამას ამბობდა. ელიზბარის სასაუბრო მუდამ თოფი, ნადირობა, ტყე და მთები იყო. ოჰ, რამოდენა ჯიხვი იცის ბაისუბნის თავს! ღმერთო, რა ნადარი ყოფილა, მაზიმზე!.. კაცებო, გაოცებული დავრჩი, პირჯვარსლა ვიწერდი იმოდენა ნადირის შემაცქერალი; გაგიხარიათ მე იქ გავმელ თოფის სროლით! რაც იქ ნადირი დამიხოცნია... ნუ მომილოცავეთ; ვინ არ მოჰკლიავედა იქ ნადირს?! როგორც ძროხის ნახირში, ისე შავრეულვარ ზოგჯერ ნადირის ფარაში.

ელიზბარმა მთელი კახეთის და არაგვის სანადირო ადგილები ჯაგის ძირითურთ იცოდა, როგორც იტყვიან,—ხელის გულზე ჰქონდა გადაშლილი: მკვარტლის წყალი ვარო, შავი კლდე, სხალთ გორი, სიმური, სპეროზა და სხვ. და სხვ. მოვიყვებოდა ყველა ადგილების ამბავს, იქ მოკლული ნადირის რიცხვს და სხვა და სხვაობას. მონადირეებს საერთოდ ერთი ტული ზნე სჭირთ: სიცრუე, გადაკარბება-გაზვიადება შემთხვევისა. ელიზბარს-კი სიცრუეს ვერაფერ დასწამებდა. სინამდვილეს გათქმული მონადირე ველარაფერს მოუმატებდა.

თოფი ხომ, სანადირო თოფი, თავის თავზე მეტად უყვარდა. მუდამა სწმენდავდა, ჰყვარავდა; გამარჯვებისათვის ელიზბარს ბევრჯერ უკოცნია თავის ხირიმისათვის ჯავარს ლულაზე. მართლაც, საამო სანახავი იყო ელიზბარის ხირიმი: თოფი თავსა და ბოლოს ოქროს ვარაყით იყო დაზარნიშული, ჩახმახიც-კი მოვიარაყული ეკრა და, რომ ფალოიაში წვიმის წყალი არ ჩასულიყო, ირმის კანკის ტყავი ჰქონდა ჩაჩად გადაფარებული: საკიროების მიხედვით აშხდიდა და დახურავდა. „ტიალი, მიყვარს, ძმო! თოფი რომ გავარდება ტყეში, გახვიე-გამოხვიელებს, დაივლ-მაივლის მთების ყურე-მარეებს დალოცვილი, გულს როგორმე იაშვბა, გულში სინაოლე ჩამიდგება.“ და თუ ვინმე შეაქებდა ელიზბარის თოფის ხმას, მონადირეს მთელი სახე სიამის აღში დაუტრიალდებოდა და გაუბრწყინდებოდა.

ზურაბს, ელიზბარის მოხუცებულს მამას, არ მოსწონდა ელიზბარის ყოფა-ქცევა: „იღარა აქვს მაგ ბიჭს სახლსა და საქმეზე გული, მგელივით სულ ტყისაკენ გაიყურება. ნანადირევს, ხომ იცით, რა მადლი და ბარაქა აქვს? იღარც ცოდვამადლს უყურებს“, — შესჩიოდა ხშირად მგზობლებს ზურაბი.

რამდენჯერ შვილსაც დაუშალა ნადირობით მეტის-მეტო გატაცება; მოაგონებდა გათქმული მონადირეების უმადურს ყოფას, ცოლ-შვილის გაწყვეტას.

„ბიჭო, შვილო, არ არის კარგი მაგრე გამოკიდება ნადირისა, ნადირსაც პატრონი ჰყავს. აბა, ერთი მითხარ, მონადირეებს რომელს აყრია ხეირი? აი შორს ნუ წავალთ, აქვე ჩვენს ახლო-მახლოს მივიხედ-მოვიხედოთ: ნაეროზას, მამუკას, ლთისავარს? ნაეროზა და მამუკა სულ ამოვარდნენ ძირფოჩივანად. ლთისავარისას ერთს შავერდისა ვხედავთ და ან ეგ რა სანახავია-შვილი მაგას არა რჩება, პურის ბარაქა არა აქვს და ფულისა?! წესზე, რიგზე სუყველაც კარგია, ურიგო კი არაფერი არ ვარგა, გადაქარბებული, წრეს გადასული. ჩემს მტერს დაემართოს, რაც კაცს დაემართება, თუ ნადირთა

პატრონმა დასწყია, გამახარეს რისიგანა აქვს თვალი გამოთხრილი, იცი? ჰოო, არ იცა განა? შე გეტყვი. თუ არ დაიჯერებ, წადი ჰკითხე და თავადაც არ დაგიმაღავს. საწვერის გორში მოეყარა ირმის ხრო, საყელში, ერთს აღგილში ხუთი ირემი მოეკლა—სამი ხარი, ორი ფური, ერთი-ღა გაჰქცევოდა. არც იმას გავუშვებდიო, გვიამბობდა, როცა სალამოზე შინ მოვიდა ნასახლარი და მანამ თვალს გამოითხრიდა. მეორეს დილას-კი თავში და პირში მჯილსა და ქვას იცემდა: რა ღმერთი გამიწყრა, ამოდენა ნადირის ცოდვა დავიდევკისერზეო, რადგანაც იმ ღამესვე საბძელში ჩალაში დასაძინებლად წასულმა თვალი გადმოიბზარა. გუგულის მსგავსი ფრინველი დასტრიალებდა ირმებს, როცა ვსთოფავდიო. ის უნდა ეცნო საწყალს და ვერ იცნო ნადირთა პატრონი ათასნაირი სახით ეჩვენება მონადირეს. ბრიყვი, ვერ მოსულიყო ცნებასა, თუ იანვარში ტყეში გუგულს რა უნდოდა და ან ირმებთან სათამაშო რა ჰქონდა!...

შე უღმერთოვ, ვისაც ვეუბნები და არ ესმის, მოჰკალ ერთი, ორი, გაუშვი დანარჩენები და! ისეთები სხვამ მოკლას, არა და აღარ გინდა, რომ ნადირის ქაქანება იყოს ტყეში?! მაგრამ როცა კაცი პირჯვარს არ დაიწერს და არა სთხოვს: ღმერთო, ცოდვაში ნუ შემიყვანო, ვერ ასცდება უკეთურ საქმეს. შე კარგა ვიცი, ერთი ან ორი რომ მოეკლა. არც თვალი გამოეთხრებოდა და არც ღმერთი გაუწყრებოდა ეხლა ნანობს, მაგრამ სინანულმა თვალი ვეღარ გაუჭაეღა... შენც, შვილო, ნადირობით ქეიფი ბოლოს არ გაგიშვარდეს. გამიგონე!...

— შე-კი გაგიგონებ, მაშავ, მაგრამ გული რომ არ გიგონებს. კაცს უმწერლოდ ბეწვი თმაც-კი არ გაუთეთრდება თავზეო, ნათქვამია; აღბად ჩემი ბედი და წერაც ეს არის. — ეტყოდა პასუხად ელიზბარი და ერთ-ორ დღეს რომ მაშის დარიგებაზე გაეგლო, მესამე დღეს მაინც ისევ ტყეში გარბოდა ჩონა შემოკალთული, მხარზე თოფ-გადაგდებული, სასწრაფო საპირის წამლით მკერდ აყვავებული და, როცა სწორამანაგებში მოხვდებოდა, მაინც ამ თავის საყვარელ სიმღერას მღეროდა:

ეპ დედას თქვენსა, ჯიხვებო,
 დაებერდი, მაკლეს თვალთაო;
 ფებდაფებ ველარ მოგყვებით,
 მუხლები დამეხლართაო.
 კიდევ სამ გაყურებინებთ
 ჩემის ხირიმის ხმასაო,
 კიუხში შეგაბერტყინებთ
 ცისკრის ხანს ქუჩის ნამსაო.

თოვლი თოვს, ჯიხვი ფებს უცემს,
 გული გკლავს მონადირეო;
 ჯიხვო, ვერ მოგკალ, ტიალო,
 სისხლი ვერ გაგადინეო.
 ვერ გადაგაგდე კლდეზედა,
 რქაზე ვერ დაგაბჯინეო;
 ვერ დაფიკვებე სწორებში,
 გულო, ვერ გაგაცინეო.

შემოდგომას ხომ გულ-გადაღეული ელოდა; ელოდა „ყვირი-
 ლობას“ როგორც დედა ერთად ერთს შვილს ლაშქარში წა-
 სულს. მთელს ღამეებს ტყეში ატარებდა. თავზე ირმის რქას
 იდგამდა, მხრებზე ირმის ტყავს იფენდა და „ყვიროდა“ რო-
 გორც ხარი ირეში. ელიზბარის ყვირილს ირმის ბლავილიდან
 ვერ გააჩქევდა კაცი. ორჯელ-თუ სამჯერ უცხო მონადი-
 რებს, კინალამ არ შემოაკვდათ; ირმის მაგივრად კინალამ
 ელიზბარი არ გამოასაღმეს წუთი-სოფელს. რას მოიფიქრებ-
 დნენ, თუ ელიზბარი დაუხვდებოდათ ირმის ქურქში გამოხვე-
 ული, მაგრამ როცა გაიგეს იმის ნადირობის წესი, ყოველი
 მონადირე ფრთხილობდა,—ირმის მაგივრად კაცი არ შემოპ-
 კდომოდა. ამგვარად ნადირობდა ელიზბარი, ხოლო გულში-
 კი მუდამ, განუშორებლად იმ ფიქრს ატარებდა, რომ ღმერთი
 არ განერისხებინა, ნადირთა პატრონი არ გაეჯავრებინა,—
 თვალ-გაფაციკებით ჰსინჯავდა სროლის დროს, ლანდი ნა-
 დირთა მეთვისა ხომ არსად გამოჩნდაო. იგი ხომ უფრო ხში-

რად პატარა ტანის ქალის სახით ეჩვენება მონადირეებს, დიდ-
 რონ გაშლილ თმებით; ხელში ჯოხი უჭირავს და ხან უკან
 მისდევს თავის სამწყსოს, ხან წინ მიუძღვის, ხან გვერდზე,
 მხარ და მხარ, და თან ნელი ხმით მიუსტვენს. თუმც ხში-
 რად ათასნაირ სახეს იღებს, ხან და ხან ბუზადაც კი იქცევა,
 დაუჯდება მონადირეს ლუღაზე, რომ მიზანი შეუშალოს, იქ-
 ცევა ზაფხულში დიდრონ წვიმის წვეთად ჩამოვარდება მალ-
 ლიდან, დაეცემა კვესზე ჩახმახს, რომ ფალია დაუსველოს,
 თოფი აღარ გავარდეს; ზამთარში იქცევა თოვლის ფარტენად
 ამვე მიზნით; გადიქცევა ფრინველად, ან საუცხოვო ნადი-
 რად, რომ დააფრთხოს სამწყსო და ხიფათს გადაარჩინოს.

ამდენი ხანია ნადირობს ელიზბარი და ერთხელაც არა-
 ფერი მსგავსი არ უნახავს. სჯერა და არც სჯერა ეს ამბავი
 ბევრჯელ ჩხიკვს დაუფრთხია ელიზბარისთვის შვლები. იქ-
 ნება ნადირთა პატრონი იყო? შეიძლება ერთხელ ხარ-ირ-
 მისთვის უნდა დაეცა თოფი, მთელის თავის ტანით ეღგა წინ
 ელიზბარს, იქვე წააქცევდა. დაიმედებულმა თოფი მოიმარ-
 ჯვა, მაგრამ მოულოდნელად მალლიდან ჩამოვარდა ხმელი
 წიფლის ტოტი, დაეცა ირემს რქებზე; ირემს ელდა ეცა და
 რიგორც ნაპერწყალი ისე გაქრა. შეიძლება ისიც ნადირთა
 პატრონის ბრალი იყო? შესაძლებელიაო, ფიქრობდა კვალად
 მონადირე. ბევრისგან ბევრი მაგალითები მოიგონა განვლი-
 ლი გამოცდილებიდან, ისეთი მაგალითები, რომ ნადირის გა-
 დარჩენა ყოველად შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც გაჰხლტო-
 მია ხელიდან. ყველა ეს მაგალითები ექვს უბადებდნენ, აფიქ-
 რებინებდნენ, რომ უსათუოდ უნდა ბრალი დაედო უჩინარი
 ძალისთვის. ეს ძალი იყო ერთად ერთი ნადირთა პატრონი.

შაბათ საღამოს ესტუმრათ თვედორე, გათქმული მონა-
 დირე, ხოლო დღეს დაუქმებული, რადგან ახარი ხუთჯერ
 ჰქონდა ათავეებული, ხუთჯერ ჰქონდა თოფი მიწაში დამარ-
 ხული. ძველი სამონადირეო ჩვეულების ძალით აღარ შეეძ-

ლო იმას ნადირის მოკვლა, თუნდა ნადირის ხროვა შინ შეჭტომოდა. აღთქმა ჰქონდა, ამიერიდან ნადირი აღარ უნდა მოეკლა. საკმაოდ ხნიერი თევდორე ნადირობის ეინს მხოლოდ წარსულით, თავ-გადასავალის მოგონებით იკლავდა. უყვარდა, ესიაშოვნებოდა სხვის ნაუბარი ნადირობაზე და თავდაც ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდა, როგორც ოცის წლის ქაბუკი. მთელი ღამე თევდორემ და ელიზბარმა ნადირობაზე ლაპარაკში გაატარეს. გაათავებდა ერთ-ორს ამბავს თევდორე, ელიზბარი დაიწყებდა, მერე სიტყვას ისევ თევდორე ჩამოართმევდა...

ნადირთა პატრონის არსებობას თავის თვალთ ნახული მაგალითებით უმტკიცებდა თევდორე ელიზბარს ისეთ პოეტური აღწერით, რომ იმ ღამეს სიზმარშიც კი ნადირთა პატრონი მოეღიანდა. მეორე დღეს, კვირას, ელიზბარი სანადიროდ ემზადებოდა ყვირილობა იწყებოდა, ენკენისთვის შუა რიცხვები იყო. „ხვალიდან, აი სწორედ ხვალიდან, შველო, აქვს უფლისაგან დანიშნული ვადა ხარ-ირემს და ორაგულს, ირემს-ყვირილისა, ორაგულს—თბრისა. ცდილობენ, რომელი რომელს დაასწრობს, ირემი ყვირილს, თუ ორაგული თბრას*) მოსაკლავი ორივე ებლია, მსუჟანი. ხარს, რაც უნდა გძელი ხანჯარი იყოს, ხომ იცი, კისერზე ვერ გააწვდენ, რომ დასცე. ტანის სისქე კისერი აქვს და ორაგულისაც რაც კი სიმსუქნე შეიძლება ეხლა აქვს დრო. ამის შემოევგ ხდება ავად და ლუბდება, თბრას რომ გაათავებს დედალი ორაგული აღარც კი იკმევა სილუბისაგან.“ თოფის სროლის და თავის ნადირობის წესს უხატავდა ელიზბარს: „ხელზევით სროლას ეცადე, რაც შეიძლო. დადებით მსროლელი მონადირე მონადირედ არ მიმაჩნია, განაგრძობდა თევდორე: თოფი ბოშად გეჭიროს, რომ ჩახმახის დასხლეტის დროს, არ დაგეძრას, რაც შეიძლება გული დაიდინჯე სროლის დროს, ბოლო ხელი ააჩქარე. ნადირობაში ხელისა და თვალის სიჭკარეა პირველი იღბალი.

*) ორაგული ორმოს აკეთებს წყალში და იქ გორათბს, აწვევტს ბალოს და ქვირითს აბნევს.

მე თუ ნადირი ამანქარებდა, იმის დღე გათავებული იყო. ნადირმა სუნი იცის, ამიტომ როცა ეპარტები, უნდა აუარჩიოს ისეთი გეზი, რომ ნადირის მხრიდან მონაბერი ნიავი შენ პირში გცემდეს.“ ზოგი რამ ამ წესებისა, რა თქმა უნდა, ელიზბარშაძე იცოდა, მაგრამ თევდორეს მინც სიტყვა—შეუბრუნებლად უგდებდა ყურსა.

ვაჟა-ფშაველა

(შემდეგი იქნება)





ოქროს ბაღი

(გერმანულით)



ღვის ნაპირას, ერთს პატარა კობში, სრულიად კმაყოფილი თავისი ბედისა მყუდროდ ცხოვრობდა მებადურის სახლობა. მებადურს ჰყავდა ერთად ერთი ქერათმიანი პატარა ქალი, რომელსაც ილსა ერქვა სახელიად. დედმამას ილსაზე ამოდიოდათ მზე და მთვარე, ილსა იყო მთელი ოჯახის ფასდაუღებელი სიმდიდრე და სიამაყე.

თხუთმეტი წლისა იქნებოდა ილსა, როცა მებადურის ოჯახს მეტად სამძიმო და აუტანელი უბედურება დაატყდა თავს. მებადური ერთხელ ჩვეულებრივ ზღვაში თევზაობდა. უეცრივ ზღვაზედ საშინელმა მძლავრმა ქარმა დაჰბერა. მება-

დურს რომ მოსალოდნელი განსაცდელი თავიდან აეცდინა, დაუყონებლივ ზღვის ნაპირისაკენ გაეშურა. სამწუხაროდ აბობოქრებულმა ზვირთებმა ნავი გადააბრუნეს და ზღვის უფსკრულმა საბრალო მებადური გულში ჩაიხვია.

მებადურის კოლი ყოველ დღე ზღვის ნაპირას იჯდა და ცრემლიანი თვალებით ვასცქეროდა თავისი მეუღლის შორეულს საფლავს. საბრალო ქვრივს ილსა თუ მოაგონებდა შინ დაბრუნებას, თორემ მეტის მწუხარებისაგან ყველაფერი ავიწყდებოდა.

დღედაშვილი რომ სიმშლით არ დახოცილიყვნენ, ილსა მხნედ შრომობდა და სარჩო საბადებელი მუდამ საკმარისად შემოჰქონდა სახლში.

ილსა პატარა ნავით ყოველ დღე სათევზაოდ ზღვაზედ გადიოდა. პატარა ქალი მამის სიცოცხლის დროს შეეჩვიოთევზაობას. ილსა ყოველთვის დიდძალ თევზს იჭერდა ზღვაში.

სწორედ ერთი წელწადი გავიდა მას აქეთ, რაც ილსას ზღვაში მამა დაეღუპა. საბრალო მებადურის მეუღლის თვალს ამ ხნის განმავლობაში ცრემლი არ შეშრობია, მწუხარება ოდნავაც არ შემსუბუქებია.

„რომ ვიცოდე, სად არის ჩემი საბრალო მეუღლის საფლავი, რომ შემეძლოს ჩემის მეუღლის საფლავზედ ცრემლის თავისუფლად ფრქვევა, მწუხარება ერთი ორად შემისუბუქდებოდა! მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველად შეუძლებელია! უბედური ჩემი მეუღლე ზღვის უფსკრულშია ჩამარხული და აბა იქ მე როგორ მიმიწვდება ხელი!“ მწუხარე ქვრივი ყველას ესეთს პასუხს აძლევდა, როცა ვინმე მასთან ნუგეშის საცემლად მიდიოდა.

წლის თავზედ, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მებადური დაიღუპა, ილსა ჩაჯდა პატარა ნავში, ნიჩბები მოიმარჯვა და შორეულ ზღვისაკენ გაემართა. ზღვის ცისფერი წყალი მდორედ იდგა თავის კალაპოტში. სარკესავეით წმინდა ზღვა მოხდენილად კამკამებდა. ილსა ხელოვნურად იმარჯვებდა ნიჩ-



ბებს და სათევზაო ნავს ზღვის სივრცეში წყნარად მტყუნებდა. ზღვის უსაზღვრო სივრცე ილსას თვალთ წინ დიდებულიად გადაფენილიყო.

ილსას კამკამ ზღვის დანახვაზედ მოაგონდა საყვარელი შშობლის ანახდელად დაკარგვა და თვალთაგან ცრემლმა ნაკადულები გადმოსჩქეფა. პატარა მებადურს მთელს სხეულში ტრუნანტელმა დაურბინა. ილსამ ნავის ნაპირიდან მარჯვენა ხელი ჩაპყო წყალში. ზღვის წყალი სასიამოვნოთ ვალერსებოდა ილსას ხელის თითებს. ილსამ თითებზედ უფროც რაღაც სიცივე იგრძნო. პატარა მებადური შეპკრთა და დაუყონებლივ ხელი წყლიდან ამოიღო და პაერში შეატრიალა. ნავის მახლობლად უზოდჩაოდ იდგა ქარიყლაპია თევზი და ქალს თვალმოუშორებლივ შესჩერებოდა. ქარიყლაპიას დაკერა შეტად აღვილი იყო, მაგრამ ილსას დღეს, საყვარელი შშობლის დაღუპვის წლის თავზედ, არც ერთის ქმნილებსათვის სიცოცხლის მოსპობა არ უნდოდა. ილსამ პირიქით ქარიყლაპიას ქეცლიან ტანთსაცმელს სიყვარულით ხელი გადუსვა და აღირსიანად მიესიყვარულა.

ქარიყლაპიამ უფროც პირი გააღო და ილსას ესე გამოესაუბრა: „კეთილო მებადურის ქალო, მე კარგად ვიცი, შენ რაც გაწუხებს!“ თევზის ასე ალაპარაკებამ მებადურის ქალი მეტად გაანცვიფრა.

ილსა ჩამოეყრდნო ნავის ნაპირს და ლმობიერად შეეკითხა ქარიყლაპიას: „კეთილო თევზო! მითხარი, სად ან რა ადგილას არის მამაჩემი ჩამარბული?“

ქარიყლაპიამ თავაზიანად უპასუხა: „მამაშენი მშვიდ ადგილას განისვენებს და თავის ღროზედ გაჩვენებ კიდევ იმის საფლავს!“

ილსა კვლავ თავაზიანად შეეკითხა ქარიყლაპიას: „როგორ ან რა საშუალებით შემიძლია მოვაშორო საბრალო მამა ჩემი იმ საზარელ ადგილს?“

თევზმა უპასუხა: „მამა შენის საფლავიდან ამოღება შე-

საძლოა მხოლოდ შენ მიერ მთვარის შუქზედ მოქროს ბადის საშუალებით!

ღმერთო ჩემო! მაშ დედა ჩემის მწუხარებას ბოლო მოეღება! სიხარულით გაუღღია ილსას გულში.

ქარიყლაპიამ კვლავ განაგრძო საუბარი: „დრომდის არავის არ უნდა ამცნო, სრულიად საიდუმლოდ უნდა შეინახო ოქროს ბადის ამბავი“!

ილსამ თავი მორჩილების ნიშნად დახარა და თავაზიანად შეეკითხა ქარიყლაპიას: კეთილო თევზო! როდის გამაბედნიერებ და მაჩვენებ იმ ადგილს, საცა უნდა გადავისროლო ოქროს ბაღე საბრალო მამაჩემის ამოსაყვანად“?

ქარიყლაპიამ მოკლედ უპასუხა ილსას: „ერთი წლის შემდეგ სწორედ ამ დროს შე ვიქნები აქ შენი ნავის შორი ახლოს და იმ ადგილსაც გაჩვენებ“!

თევზმა ამ სიტყვების შემდეგ ბოლო მძლავრად მოიქნია და უგზო უკვლოთ ზღვის სიღრმეში გაჰქრა.

ილსამ თვალები მოიფშენიბა. ღმერთო, ნუ თუ ყველაფერი ეს სიზმარი იყო? მაგრამ არა, საკვირველი თევზის თვითოეული სიტყვა ნათლად მოიგონა, განიმეორა კიდევ და ახლა დარწმუნდა, რომ ყველაფერი ცხადი იყო.

ნავი დაუყონებლივ უკან შემოაბრუნა და ზღვის ნაპირისაკენ გამოემართა. ნავი მაგრად პალოზე ჩამოაბა და შინისკენ გაეშურა.

ის იყო სახლში შედიოდა, როცა კარების ზღრუბელზედ შენიშნა ობობა, რომელსაც ჯვარედინად ქსელი გაება. ილსა ისე მორიდებით შევიდა სახლში, რომ ქსელსაც არ შეეხო პატარა ქალს საკვირველი თევზის დღევანდელი სიტყვები ფიქრიდან არ შორდებოდა, მაგრამ დედის წინაშე კრინტსაც არა სძრავდა.

დაღამდა. ბრწყინვალე მთვარემ დედა მიწა ერთიანად გააშუქა. მთვარის შუქის დანახვაზედ ილსა დაუყონებლივ თავის ოთახისაკენ გაეშურა. ოთახი მთვარის შუქით ერთი-

ნად განათლებული იყო. შუა ოთახში ობობას მყუდროდ მოეკალათნა და თავის ქსელები ჯვარედინად გაება. ილსა ობობას დანახვაზედ თითქო შეჰკრთა, მაგრამ ისევ თავისთავად წყნარად წაიბუტბუტა. „ნახო და მშვენიერო ობობავ, არ გსურს ჩემთან ოთახში ვისაუბროთ“?

ამ სიტყვების თქმა-ცი ვერ მოასწრო, რომ საზიზღარი ობობა სადღაც უგზო უკვლოდ გაქრა, ოთახის შუა ადგილას ობობას მაგივრად ოქროს სავარძელზედ იჯდა მშვენიერი ყმაწვილი, რომელსაც სპილოს ძვლის თითისტარი ეკირა ხელში. ილსა განცვიფრებისაგან სდუმდა. ყმაწვილმა აღერსიანად უთხრა: „კეთილო მებადურის ქალო, თუ გსურს ოქროს ბადე მოქსოვო, რაღას აგვიანებ, მოიქერ შენი ქერა თმა“!

ქალისათვის ახლა ყველაფერი ცხადი შეიქნა: ახლა სრულიად საძნელო არ იყო ოქროს ბადის საქსოვი მასალის მოპოვება.

ილსამ დაუყონებლივ მაკრატლით ჩამოიჭრა თავისი გრძელი, ოქროსფერი ნაწნავეები. ნაწნავეების ნაზი თმები მზის შუქზედ ისე ბრკყვიანავდნენ, თითქო ნამდვილი ოქროაო. ილსას თავისი მშვენიერი ნაწნავეები ოღნაეც არ დანანებია და სულ იმას ჰფიქრობდა, რომ თავისი დამზრჩვალ მამის გვამი ეპოვნა და საბრალო დედისათვის აუტანელი მწუხარება ოღნავ მაინც შეესუბუტებინა.

ილსა შარდად ჩამოჯდა პატარა სავარძელზედ. ყმაწვილი გულმოდგინედ ასწავლიდა ტ. თითისტარზედ ოქროს ძაფის დართვას. ნიჭიერმა მოწაფემ სწრაფად შეითვისა ოქროს ძაფის დართვის ხელოვნება. მებადურის პატარა ქალი სულ მოკლე ხანში ხელოვნურად ხმარობდა თითისტარს.

ოქროს ძაფის დართვის დროს გულკეთილი ყმაწვილი ნაზი ხმით, თითქო ჩიტი კიკიკებსო, უამბობდა მებადურის ქალს ზღვის სასახლეებისა, წყალთა ნიმფებისა და მავნე სულლების ამბავს.

ტ. თითისტარი კი განუწყვეტლივ ტრიალებდა და ტრიალებდა. ილსამ მხოლოდ ერთხელ მაშინ შეაჩერა თითისტარის ტრიალი, როცა ყმაწვილი მოუთხოვდა ილსას საყვარელი მშობლის მავნე სულებისაგან დაღუპვის ამბავს.

უეცრივ ოთახი წყვდიადმა მოიკო. მხოლოდ ოქროს ძაფებიღა ბრკყვინავდნენ მკრთალად, თითისტარი და გულკეთილი ყმაწვილი სადღაც გაჰქრნენ.

ილსამ გუომოდგინედ გადამალა დართული ოქროს ძაფი და ფეხაჭრეფით ლოგინისაკენ გაეშურა. მალე ჩასთვლიმა. საბრალო ქალს ძილში სულ ის ელანდებოდა, თუ როგორ ამოიყვანდა იგი ზღვის სიღრმიდან თავის საყვარელ მშობელს.

ილსა მეორე ღამესაც გულმოდგინედ შეუდგა ოქროს ბადისათვის ძაფის დართვას. ართავდა და მთელი არსებით ფიქრებში იყო გართული. ობობას ამ საღამოსაც გაემა თავისი ქსელი, რომელიც მთვარის შუქზედ ერთიანად განათლებული იყო.

ილსა წყნარად შეეკითხა ობობას: „ნაზო და მშვენიერო ობობავ, არა გსურს ჩემს ოთახში ვისაუბროთ?“

ობობა დაუყონებლივ უგზო უკვლოდ სადღაც გაქრა. ილსა მარდად ჩამოჯდა პატარა სავარძელზედ და თავის საქმეს შეუდგა.

ზღვის პატარა ნიშნა ილსას მუშაობის დროს თავის ამბავს მოუთხოვდა: მამაჩემი ზღვის სიღრმის მბრძანებელია. ამ ჯამად მამა ძრიელ და ძრიელ მწუხარება, რადგან მე და ჩემი პატარა ძმა ზღვის მავნე სულმა მოგვაჯადოვა. ჩვენ ჩვენი ნამდვილის სახით შეგვიძლია ვეჩვენოთ მხოლოდ ადამიანის უმანკო ბავშვებს.

ილსამ ჰკითხა, რით დაიმსახურა ზღვის მეფემ და მბრძანებელმა მავნე სულის ეგეთი რისხვა? მან უპასუხა: მამა ნების არ აძლევდა მავნე სულს კაცთა ბავშვები, რომელნიც ასე მზიარულად დასრიალობდნენ ნავით ზღვაში, წაეყვანა

თავის სამეფოში და დაეღუპნა. მავნე სულმა მამის მემკვიდრეობის და გაფრთხილებას უურადღება არ მიაქცია. ამიტომ მამამ ამ ერთი წლის წინედ მოსტაცა მავნე სულს ერთი მსხვერპლი და ჩვენს სასახლეში მოიყვანა. მავნე სული ამის გამო გაურისხდა მამას და ჩემი პატარა ძმა ქარიულაპია თევზად გარდააქცია, ხოლო მე კი ობობად.

ახლა მხოლოდ უმანკო ბავშვებს შეუძლიანთ ჩვენი ჯადოსაგან გათავისუფლება. ჩვენ ახლა, ილსა, სრული შენი იმედი გვაქვს! შენ თუ ოქროს ბადის მოქსოვას დანიშნულს ვადისათვის შესძლებ და შენს განზრახვის შესახებ არავის არას ამცნებ, იხსნი და ამოიყვან წყლის სასახლიდან არა თუ მარტო მამა შენს, რომელიც უნებლიედ შეიქნა ჩვენი მოჯადოების მიზეზი, ჩვენ ორთავე და ძმას ადვილად გვიხსნი და გავგანთავისუფლებ.

ილსა ნიშნას სიტყვებს უურადღებით ისმენდა. თითისტარი განუწყვეტლივ ტრიალებდა და ტრიალებდა, ასე რომ ილსას თითებს ერთ წამსაც არ დაუსვენია.

მთვარე როცა ჩავიდა, კვლავ ყველაფერი უგზო უკვლოდ გაჰქრა. ოქროს ძაფების დართული გორგლები დღითი-დღე ისე მრავლდებოდა ოთახში, რომ ილსა თითქო ვერც-კი ამჩნევდა. ილსა ისე იყო, თითქო ყველაფერს ამას სიზმარში ხედავდა. გულმოდგინე ქალი ყოველ ღამე ართავდა ოქროს ძაფს, სანამ მეტის დაღლილობისაგან ძილი არ მოერევოდა.

რამდენიმე კვირის განმავლობაში მთვარეს თავისი შუქი არ შემოუშუქებია ოთახში, რის გამოც ილსამ თავისი საიდუმლო სამუშაო დროებით შეაჩერა. ილსას გული შიშით უსკდებოდა, როცა მოაგონდებოდა, რომ ჯერ კიდევ ოქროს ძაფი მრავლად ჰქონდა დასართობი. ბადე დიდი და მაგარი უნდა მოექსოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში ზღვაში ჩარჩებოდა და ამდენი შრომა ხომ ტყუილა უბრალოდ ჩაუვლიდა! ილსა ყოველთვის გულმოდგინედ განაახლებდა თავის საიდუმლო მუშაობას, როცა-კი მთვარე ოთახში შემოაშუქებდა.

გადიოდა დრო. ბოლოს წყლის პატარა ნიშვამ გადაწყვიტა, რომ ილსას მიერ დართული ოქროს ძაფი სრულიად საკმარისი იყო ბადის მოსაქსოვლად. ილსას ბადის ქსოვაში დახმარება არ ესაჭიროებოდა და პატარა ნიშვამ დაუყოვნებლივ გააქტა. მებადურის პატარა ქალი ყოველდღე საიდუმლოდ ქსოვდა ოქროს ბადეს. ზოგჯერ ილსას ეჭვი გაურბენდა, ვაი თუ თავის დროზედ ვერ მოვასწრო ოქროს ბადის მოქსოვას.

წლის შესრულებამდის ორი ღამეღა რჩებოდა. მოულოდნელად ილსას დედა ციებით მძიმედ ავად გახდა. ილსას ერთი წამითაც არა ჰქონდა მოკალეება. საბრალო ქალი ავადმყოფ დედას მოუშორებლივ საწოლთან უჯდა. მთვარე-კი ამ დროს ილსას ოთახში ბადრად აშუქებდა. ღმერთო ჩემო, როგორი გულმოდგინეობით იმუშავებდა ახლა ილსა თავის საიდუმლო ოთახში! მაგრამ, ვანა მეორე ოთახში არ შეიძლება გამოიტანოს თავისი სამუშაო? არა, ეს ყოველად შეუძლებელია, ოქროს ბაღე დანიშნულს დრომდის სხვა კაცის თვალმა არ უნდა იხილოს!...

მეორე დღეს ილსას დედა უკედ შეიქნა. უკანასკნელი ღამეც დაღამდა. ამ საღამოს ილსას დედა კვლავ გააცივა. პატარა ქალისათვის სრულიად მოუხერხებელი იყო ავადმყოფ დედისათვის თავი დაენებებინა. მდულარე ცრემლს აფრქვევდა საბრალო ქალი. ნუ თუ მთელი წლის შრომამ ასე ტყუილუბრალოდ უნდა ჩაუაროს! ნეტავი ერთი თვალით მიინც გადამახედა ჩემი ოქროს ბადისათვისო, ფიქრობდა საბრალო ილსა. დედას ცოტათი ჩასთვლიდა.

ილსამ იდროვა, წყნარად აირბინა კიბე და თავის ოთახის კარები გააღო. ღმერთო რა სურათი დაინახა ილსამ მთვარის შუქზედ! ზღვის მეფის მშვენიერი ვაჟი იჯდა ოქროს სავარძელზედ და გულმოდგინედ ქსოვდა ოქროს ბადეს, რომელიც მდიდრულად დაფენილი იყო იატაკზედ და ათასნაირად ბრწყინავდა. ილსამ აღტაცებით ხმამაღლად შეპყვირა.

უეცრივ ოთახი დაბნელდა და შშვენიერი ყმაწვილნი საღვთო ღვთისმშობლისადმი დაეცა. სრულიად მოქსოვილი ბადე ოთახში დარჩა.

ილსა დაუყოვნებლივ ისევ ავადმყოფ დედასთან მიიქრა. დედას უკედ მყოფობა ეტყობოდა. ავადმყოფმა წყნარად გადახედა ოთახში შემოსულს ილსას და უამბო, — ეს არის საკვირველი სიზმარი ვნახეო. ვითომ სრულიად ჯანმრთელად ვიყავი, უეცრივ ოთახში შემოვიდა საბრალო მამაშენი, რომელიც ჩვეულებრივად იცინოდა, ოხუნჯობდა. მთელს ჩვენს ოჯახში ძველებური სიცოცხლე და ბედნიერება დატრიალდაო.

ილსას ის იყო უნდოდა გაემქლავნებინა ავადმყოფ დედისათვის ქარიყლაპიას დანაპირები რომ მოაგონდა თევზის გაფრთხილება და ისევ გულში ჩაიმაჩხა თავისი საიდუმლოება.

გათენდა. ზღვა დაწნარებული იყო და ანკარა წყალი სარკესავით კამკამებდა.

სადილობის დროს ილსა გამოემშვიდობა დედას. დედა დღეს სრულიად ჯანმრთელი იყო. ილსას წასვლისთვის დედას უურადლება არცკი მიუქცევია: დღეს მეტის მეტად ფურფურებდა სახლში, ყველაფერს გულმოდგინედ ასუფთავებდა თითქო ძვირფასს და საყვარელს ვისმე მოელოდა.

პატარა მებადურმა კალთაში გამოხვეული ოქროს ბადე სათევზაო ნავში შეიტანა, მსწრაფლად ჩაჯდა ნავში, მოიმარჯვა ნიჩბები და გასწია ზღვის იმ ადგილისაკენ, საცა ამ ერთი წლის წინად საკვირველს თევზს შეხვდა.

ქარიყლაპია მართლაც ნავის მახლობლად გაჩნდა და ილსას უთხრა: „კეთილო ქალო, მე ჩემი სიტყვა ავასრულე! მაშ წამომყევ წყნარად დანიშნულს ადგილისაკენ“!

ქარიყლაპია შეცურდა წყლის სიღრმეში. ილსა გულის ცახცახით მიაცურებდა ნავს თევზის მახლობლად. ქარიყლაპია ზღვის ერთს ღრმა ადგილას შეჩერდა და უთხრა: „კეთილო

მებადურო, აი სწორედ ამ ადგილას გადისროლე მთვარის შუქზედ მოქსოვილი ოქროს ბაღე და შენი შრომა უხვად დაჯილდოვდება“!

სთქვა რა, ქარიყლაპიამ ეს სიტყვები, უმაღლვე ზღვის სიღრმეში ჩაიმაღლა: ილსამ ამოიღო ნავიდან ოქროს ბაღე და მარჯვედ გადისროლა წყალში. ბაღეზედ მობმული გრძელი თოკი ილსამ ხელებზედ მოიმაგრა. მარჯვე ნასროლი ბაღე წყალში ფართოდ გაიშალა და ნელ-ნელად ზღვის უფსკრულისაკენ დაეშვა. ილსა გაშტერებული ჩასცქეროდა ბადის ქსოვილს, სანამ მთელი ბაღე არ დაჰკარგა.

მაგრამ დახეთ საკვირველებას!... წყლის სიღრმიდან ზედაპირისაკენ მოხდენილად მოცურავდა ოქროს ნავი, რომელშიც იჯდა ილსას მამა, ხოლო ნავის ნაპირებზედ ორივე დამანი, რომელთაც მებადურის ქალს აღერსიანად თავი დაუკრეს. ნავი წყლის ზედაპირზედ შეჩერდა. ნავიდან გადმოვიდა მებადური. მხურვალედ გულში ჩაიკრა თავისი საყვარელი ქალი: მეტი სიხარულისაგან ნაკადულებზე ცრემლს აფრქვევდნენ ორივე. როცა ილსამ ოქროს ნავისაკენ მიიხედა, ნავის ნაპირას მჯდომ ბავშვა შორის ერთი მათგანი ზღვის მეფის გულკეთილ ვაჟად შეიცნო. ზღვის მეფის ქალვაჟი ჯადოსაგან გათავისუფლდნენ და თავის ნამდვილ სახით საყვარელ-მამასთან დაბრუნდნენ ზღვის სასახლეში.

სიხარულით აღტაცებულნი მებადური და მისი საყვარელი ქალი ზღვის ნაპირისაკენ გაემართნენ. ილსას დედა ჩვეულებრივ ზღვის ნაპირას იდგა და ზღვის შორეულს ზვირთებს მწუხარედ ვასცქეროდა.

უბედურ დედის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ილსასთან ერთად ნავში მჯდომი თავისი დაკარგული მეუღლე დაინახა. საბრალო ქვითინით ყელზედ მოეხვია საყვარელს მეუღლეს და გულში მაგრად ჩაიკრა. ორივე ცოლ-ქმარი დიდხანს და დიდხანს უხმოდ ქვითინებდნენ.

ილსა აღერსიანად შეჰყუებდა თავის საყვარელ მშობლებს და მეტის სიხარულისაგან ხან იცინოდა, და ხან ტიროდა, ხან უზომოდ ქვითინებდა და ქვითინებდა.

მებაღურის პატარა ქოხში გულკეთილის ილსას მეცადინეობისა და შრომის წყალობით კვლავ ბედნიერი ცხოვრება გაჩაღდა.

ა. ყუმისთაველი





ამომავალ შვის ქვეყნის გავშვები



აპონიის, ანუ ამომავალ შვის ქვეყანას, ბავშვების სამოთხედ უწოდებენ, და მართლაც პატარა შეფეებად გრძობენ იქ თავს ბავშვები, რომლებიც მგონი არსად არ უნდა იყვნენ ისე გამრავლებული, როგორც ამ ქვეყანაში. სად არ შეხედებით იმათ: ქუჩები გინდა, თუ ბაღები, ეზოები თუ სახლები, სულ აქრელებულია იმათი ფერად-ფერადი „კომონო“-ებით (ზედა ტანი, ხალათი); ყოველგან ვაისმის იმათი სიციცხლით სავსე ტიტინი, მხიარული სიცილ-კისკისი და ერიაბული.

ბავშვის, მეტადრე ვაეიშვილის, დაბადება ნამდვილ სასიხარულო დღესასწაულს წარმოადგენს იაპონელის ოჯახში: ყველას სიამოვნება და აღტაცება ემატება, სახეზე ღიმილი ეხატება და ხუმრობა-ოხუნჯობას ბოლო აღარ აქვს.

სახელს დაბადების დღესვე უწოდებენ. მამა სწერს სამ ერთნაირ ქალაღზე სხვა და სხვა სახელებს და მიჰყავს ბავშვი ტაძარში მთელი ოჯახის თანადასწრებით. ქურუში (კერპთა მღვდელი) აისვრის ზღლა ამ ქალაღებს და რომელი იმათგანიც უწინ ჩამოვარდება ძირს, იმაზე აღნიშნულ სახელს არკმევენ.

წლოვანებას ახალწლიდან ანგარიშობენ, და არა დაბა-

დების დღიდან, ასე რომ ახალ წლის წინა დღით დაბადებულნი ბავშვი მეორე დღეს ერთი წლისად ითვლება. ამიტომაც ახალი წელიწადი უფრო საბავშვო დღესასწაულად მიიჩნიათ. ბავშვებს მეტის მეტად უვლიან, ეფერებიან, ანებივრებენ, მაგრამ ამის გამო ისინი სრულიადაც არ არიან გააზიზებულნი, აღვირ-წაყრილი და თავწასულები. პირ იქით, იმათთანა მშვიდი, თავდაკერილი და პატიოსანი ბავშვები იშვიათად თუ სადმე მოიპოვება: როგორ შეიძლება, რომ ქუჩაში იმათი ჩხუბი დაინახო, როგორ შეიძლება, რომ იმათ პირიდან ლანძღვა-გინება, ან უკმეზი სიტყვა და დაცინვა გაიგონო! ყველა თავაზიანი და ზრდილობიანია: უფროსებს პატივისცემით მიესალმებიან, უცხოელებს უშიშრად შემოეხვევიან, ათვალიერებენ და მორიდებით ექცევიან, რომ არ შეაწუხონ. მაგრამ ვაი უბედურობას, თუ ეს უცხოელი ქერა თმა-წვერულვაშიანი გამოდგა! ამ ფერის კაცი იმათ წარმოდგენილი ჰყავთ „ონი“-ათ (ეშმაკად), რომელიც ვითამ და ბავშვებს იტაცებს, და ამიტომ იმის დანახვაზე დაფეთიანებული ბავშვები თოფ ნაკრავივით გარბიან თავ-პირის მტვრევით.

ქუჩებში ბავშვებს ხელს არავინ ახლებს, არ აწყენინებს, რადგან ისინიც ცუდს არას ჩაიდენენ. არიან თავიანთთვის ჯგუფ-ჯგუფად და კოჭაობენ, ხტუნაობენ, ხუმრობენ, იცინიან ან ცნობის მოყვარეობით უცქერიან ამა თუ იმ თვალთმაქცს, რომლებიც ამათივე გულისათვის ბლომად არიან ქუჩებში.

იაპონელი თვალთმაქცი დიდად დახელოვნებული და განვითარებულია. ხერხსა და სიმარჯვესთან იმათი თვალთმაქცობა სასიამოვნო და გონივრული გართობაა.

აი ქუჩის კუთხეში ატუზულა ერთი თვალთმაქცი და ხელის გულზე თეთრი ქაღალდის ნაკუწების გროვა დაუყრია. მარჯვედ და ხერხიანად უბერავს ნაკუწებს და მარაოს ქნევით მოაჩვენებს, თითქო ლამაზი ჩიტების გუნდი ფთხრიალებს და თამაშობსო ჰაერში.



აი მეორე. ხელში უჭირავს კოჭბით ქერის თხელი თათარა, რომელსაც უბერავს პატარა მასრით და გამოჰყავს სხვა და სხვა ადამიანის, პირუტყვეებისა და ფრინველების მსგავსება, რომელიც ხელად მაგრდება და ხმება ჰაერში.

აგერა კიდევ მიმჯდარა ჩრდილოში თვალთმაქცი—მხატვარი. წამლების მაგივრად ფერად-ფერადი სილა შეუზავებია. წინ უძევს პატარა ფიცარი, აფრქვევს ზედ ფთხილად ამ ქვისას და რა გინდა, რომ არ გამოჰყავს: მშვენიერი ადგილმდებარეობის სოფელი, მცენარეებით, მდინარეებით და მომფრინავი ჩიტებით მოფენილი საუცხოვო ბუნების სურათები.

ამისთანა სანახაობით ბავშვები დიდ ალტაცებაში მოდიან, და მზით გაბრწყინვალებულ ქუჩაში გაისმის იმათი წყრილა ხმა და მხირული კისკისი.

მარდი და ღონიერი ბავშვები ხშირად ლერწმის მაღალ საფეხურებზე შემდგარი დაირებიან ქუჩა-ქუჩა.

ჩაცმა-დახურვა იქ დიდმა და პატარამ ერთნაირად იცის ბავშვებსაც იგივე „ძიბანი“ (თხელი აბრეშუმის ქვედა ტანი) და იგივე „კიმონო“-ები აცვიან, როგორც დიდრონებს, მხოლოდ უფრო მხიარული ფერისა და ლამაზად მოქარგული. ძალიან სასაცილო შთაბეჭდილებას კი ახდენენ სამი-ოთხი წლის ჯუჯა, მხიარული და ეშმაკური სახის გამომეტყველი ბალები რომ დარბაისელ მამაკაცივით ან მანდილოსანივით გამოწყობილან.

ბავშვების აღზრდაში იაპონელები ცემასა და სხვა სასტიკ ზომებს სრულებით არ ხმარობენ და უბრალო დარიგებაც იშვიათად იციან. მშობლები უფრო თავიანთ ქცევითა და მაგალითით ცდილობენ დააყენონ შვილები კარგ ხასიათზე, ასე რომ ბავშვები თითქო თვითონვე ზრდიან თავინთ თავს, თითქო რაღაც უბილავ ძალას მიჰყავს ისინი განსაზღვრულ მიზნისაკენ.

მშვიდი, ზდილობიანი და გარეგნულად ყოველთვის თითქო კმაყოფილი იაპონელები ყველაზე მეტად იმას ფიქრობენ,

რომ საზოგადოებისათვის სასიამოვნოდ იყვნენ. ამიტომ ისინი ცდილობენ რომ მოწყენილი სახით არავის ეჩვენონ და ამითი ხალისი არ გაუფუჭონ. ამის გამო ძალიან თავდაქერა იციან და ჯარავის არ დაინახებენ თავიანთ მოწყენას და სხ. სულიერ გრძნობას, რომელსაც ყოველთვის ალერსიანი და მზიარული ღიმილით ჰფარავენ. მშობლების შემხედვარე ბავშვებიც ასე ეჩვევიან თავის დაქერას.

თავისუფლებაში აღზრდილი ბავშვები ბუნებას ძალიან მალე უახლოვდებიან და იმის სიყვარული აღრე ენერგებათ გულში. პირუტყვებსა და მცენარეებს ისე სასტიკად თავის დღეში არ ეპყრობიან, როგორც ჩვენში. მათ ებრალებათ ყოველივე, რაც კი სუნთქავს ქვეყანაზე. პატარა ბიჭუკელები კი შესცდებიან ხან და ხან და გადაუხვევენ ამ კანონს, მაგრამ ქალიშვილები კი—არაოდეს. მაგალითად, ზოგჯერ პატარა „მუსმე“ თავგამოდებით დასდევს ჩიტუნებსა და კრელ პეპელებს, მაგრამ ნუ წარმოიდგენთ, რომ რაიმე ვნება მიაცენოს მათ. უნდა მხოლოდ მიესაყვარლოს, ეინი მოიკლას, და შერე ისევ გაათავისუფლებს...

წიგნებს დიდი პატივისცემითა და სიფთხილით ეპყრობიან პატარა იაპონელები, რადგან იციან, რომ იმათ ფურცლებზე კვიანი, ნიჭიერი და გამოცდილი ხალხის ნაფიქრ-ნაგრძნობი და ნაშრომი დაბეჭდილი.

ბავშვი რომ შეიდი წლისა გახდება, სახელს გამოუცვლიან. ამის შემდეგ იმისი უზრუნველი ცხოვრება იცვლება და მის თავისუფლებას კოტათი ფრთა ეკვეცება. ახლა იმას მოვლის სკოლა და იმისგან გამოწვეული შესაფერი მოვალეობა და ზრუნვა.

სწავლა-განათლებას იაპონელი ბავშვები საკვირველი ენერგიითა და თავგამოდებით ეტანებიან. ამ მიზნით ათასობით მიდიან ამერიკაში და ვინ იცის, რამდენ გაქირვებას იტანენ.

მივიდა, როგორც იყო, პატარა იაპონელი ამერიკაში და გროში აღარ დარჩა რომ თავი იჩინოს. არც ენა იცის იტაუ-რი, რომ გააგებინოს ვისმე თავისი სურვილი. რა ჰქნას უპატ-რონო ბავშვმა?

— აი რას შვრება: ამერიკაში იაპონელებს აქვთ კანტო-რები, სადაც უბინაო ბინას იშოვნის და უსაქმო საქმეს გაი-ჩენს. ბავშვი მიდის ამ კანტორაში. აქ იმას ასწავლიან ინგლი-სურ რამდენსამე სიტყვისა, და მერე უშოვნიან მოსამსახურის ალავს ოჯახში, თუმცა ძალიან მცირე ჯამაგირით, მაგრამ იმ პირობით კი რომ, სკოლაში სიარულის ნება ეძლეოდეს. ბავ-შვი ერთ კვირაში სწავლობს ქურქლის რეცხას, მწვანილის გარჩევას, ალავ-დალავებას და სხვა საოჯახო საქმეს და ხელ-ზე სამსახურს. მერე დაიწყებს სკოლაში სიარულს. როგორც-კი თავისუფალ დროს ჩაიგდებს ხელში, სკოლაში გაიქცევა და სწავლობს; სწავლის შემდეგ ისევ ბინაზე მიცუნცულდე-ბა, ოჯახის პატრონს სადილს მიაართმევს, სუფრას აულავებს და კიდევ სკოლაში გარბის, რომ ერთი საათის შემდეგ ისევ დაბრუნდეს და დანარჩენი საქმე გააკეთოს.

ამისთანა მძიმე პირობებში პატარა იაპონელმა ისეთი ნიჭი, მოთმინება და ბეჯითობა გამოიჩინა, რომ საქმელების კეთე-ბაც კი შეისწავლა, დიასახლისს რომ შველოდა და ემსახუ-რებოდა, სამზარეულოში. ამის შემდეგ იმან უკეთესი აღგი-ლი იშოვნა და ჯამაგირიც მოუმატეს. იმდენს ეცადა, იმდენი იშრომა, რომ 6—7 წლის შემდეგ საშუალო სკოლა გაათავა და ახლა უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება და თავის მცირე ჯამაგირიდან ფულსაც კი ინახავს, რომ თავი იჩინ-ოს, რა ხანიც უმაღლეს სასწავლებელში დარჩება. სტუდენტ-ი იაპონელი ძალიან გაკვირვებას ითმენს: ცხოვრობს იფ ფა-სიან ოთახში და საქმელს თავისი ხელით იკეთებს მარტო ბრინჯისას. შრომობს დაუღალავად ახალგაზდა სტუდენტი ოჯახსა და სკოლაში, დღესა და ღამეს ასწორებს და ოთხი-

წლის შემდეგ მიიღებს უმაღლეს განათლების მოწმობას, დიპლომს.

ბევრ ამისთანა, — სამზარეულოში ჭურჭლების მრეცხავ, იაპონელ ყმაწვილ - კაცს შემდეგ თავის სამშოალოში დიდი ადგილი მიუღია და სახელოვანი მამულიშვილი გამოსულა.

აი რა შეუძლია დაუზარელ ბეჯით შრომასა და მოთმინებას!

თეო კანდელაკი





ოგლევის გაზაფხული

ყვედა ია, ზამბახი,
ყვედა მთელი ბუნება,
და გაზაფხულის ღიმილზე
ტკბილად იმღერის გუნება.
მზემ გააბნია, დასთრგუნა

ზამთარი შესაზარები,
და ცამ აკურა მიწასა
ახალი მადლის ცვარები.
ტყემ მსწრაფლ შოისხა ზურმუხტი,
იწყო ჩქოლვა და შრიალი,
ნაკადმა ქვების მკერდზედა
შეხლა-შემოხლა, ჩქრიალი.
სიკოცხლის ძალა აფეთქდა,
აჩქამდა შევების სიმები,

უბღება კორდ-ველს ყვავილთა
ათას ფერადი მძივები.
აქ შაშვი უსტვენს, ბულბული,
იქ იადონი ვარდზედა,
და ასე ყველა დამღერის
სატკბილ-ალერსო ჰანგზედა.
არა მღერიან ობლები
მართა, ვანო და ილია;
ჯერ არ მოსულა იმათთვის
ნანატრი გაზაფხულია.
დედა არა ჰყავთ და მამა,
სიშშილმა დააბეჩავა,
სხვის ხელქვეითა შრომობენ
დილიდან ვიდრე მზე ჩაეა.
ტანთ არ აცვიათ. და ფეხთა,
რცხვენიათ, ეწვით გულია,
ნეტავი, — როდის დადგება
იმათთვის გაზაფხულია?

ვ. ტუქსიშვილი



„თქვენთვის“ ანუ „მთავრობის“
„ინტერესების“ მიხედვით



ცელქის დღიურიდან

(გაბბურტონისა. გაგრძელება)

თავი IV

(უბედურება უბედურებაზე)



ატარა ქალებთან ყოფნა სწორედ უბედურებაა! სულ სხვაა ბიჭებთან. დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ გვეწვია მთელი ერთი კვირით პატარა ქალი დეზი დენნისი, თავის დედით. დედა ველოსიპედს დამპირდა, თუ ჭკვიანად ვიქნები, სანამ სტუმრები ჩვენსა არიან. ვეცდები, არ ვიცელქო.

ეს შეეძქვსედ მპირდებიან ველოსიპედის ჩუქებას,—თუ კარგად მოიქცევიო, მუუბნებიან, და ვერა და ვერ ველირსე იმის



მიღებას! ერთი ალილუია მღვდელსაც შესცდებოა, ამბობენ, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ რამე ცუდი მოხდეს, სანამ დეზი ჩვენსაა, თორემ ველოსიპედს ისე ველარ ვიზილავ, როგორც ჩემს საკუთარ ყურებს. ხუმრობაა! ველოსიპედით ერთ წამში მთელი საათის სავალს გავივლი. მერცხალივით გაფვრინდები, საცა მინდა!

პირველმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა და მარტო დედოფალებით ვთამაშობდით, რადგანაც დეზის თეთრი კაბა ჩააცვეს და დედამ უბრძანა, არამც და არამც არ გაისვაროო. დეზის დედოფალს ფლორა ჰქვია, და თითქმის დეზის ტოლაა. ფლორა ახელს და ხუჭავს თვალებს... ძალიან მინდოდა გამეგო, როგორ იყო გაკეთებული. გავუხვრიტე კეფა და ვნახე, რომ თვალები მავთულზე ტრიალებდნენ. დეზი მწარედ აქვითინდა, როცა ფლორას თავზე კრილობა ნახა და ცალი თვალის დაბრმავება შენიშნა; ალბად მე მოვშალე დანით მავთული. მაგრამ ღირს განა გოგოებთან ყბედობა! სულ უბრალოზე აწრიბინდებიან და...

მაგრამ მალე შევრიგდით და ვთქვით, — დედოფალს ჩაი დავალევინოთო. დეზი შაქრის მოსატანად გაიქცა. როცა დაბრუნდა, იატაკი ნახერხით დაფარული დახვდა. ეს მე გავუქერი ფლორას მუცელი, რომ გამეგო-რითი წრიბინებდა. დეზიმ კიდევ ტირილი მორთო. დედამ მითხრა, შენ უნდა უყვილო შენი ფულით დეზის დედოფალიო. ეგ არის, დიალ: ამ ფულებით მე მშვილდ-ისრის ყიდვას ვაპირებდი, რომ მეზობლების ინდოურები დამეხოცა. ვერც არავინ შემიტყობდა: დახოცილი ფრინველები ხომ ვერაფერს იტყოდნენ და მწყემსი-კი მათ არ ახლავთ. ახლა ამ ფულით ტიკინი უნდა მაყიდვინონ!...

განვაგრძოთ, საყვარელო დღიურო! შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ მეძნელება ჩემზე ასეთი ამბების წერა. შენ, რასაკვირველია, არ მოელოდი, რომ მე შვიდ დღეში ერთსაც არ გავატარებდი მშვიდობიანად, მაშ მომისმინე, მე შენგან არაფერს დავმალოავ; შეგპირდი და ავასრულებ კიდევც. ერთ-

ხელ მე და დეზიმ ტიკინებით დიდხანს ვითამაშეთ; დავდიოდით სტუმრად ერთმანეთთან და სათამაშო ფინჯნებით ჩაისა ვსვამდით. ამ „საგოგოო“ თამაშმა თავი მომაბეზრა და დეზის ვუთხარი: მოსამსახურეები პურსა სკამენ და მთელი საათი თავისუფალი გვაქვს. მოდი „დაკარგული ბავშვი“ ვითამაშოთ. დეზი დამეთანხმა... ჩვენი დედები მეზობლისას იყვნენ. საღამოზე სტუმრებს მოველოდით და ბეკი მზარეულს ეხმარებოდა, მოსალოდნელი იყო, ხელს არაფერ შეგვიშლიდა. დეზი ჩემს ოთახში შევიყვანე, მინდოდა გამეკრიკა, მაგრამ ისეთი ყვირილი მორთო, რომ შემეშინდა. გავხადე მისი მტრედის ფერი კაბა და ჩემი ძველი ხალათი და შალვარი ჩავაცვი. პირისახე ნახშირით ზანგსავით გავუმურე და დარბაზის კიბით ქვევით ჩავგზავნე. მე ჯიბეში გადიას დიდი მაკრატელი ჩავიდე და ბალისკენ გავიქეცი, იქ თვით-მატარებელი ურემი მქონდა. ურემი სახლთან მივაგორე; დეზი ბილიკით მოდიოდა.

— ბიკო, ეი, ბიკო! არ გინდა ურმით გატარო?

— მადლობელი ვარ, ბატონო, კი მინდა, — და დეზი ურემში ჩაჯდა.

რაც ძალი და ღონე მქონდა ურემი ქალაქს გარედ ბუჩქებისაკენ გავაქანე.

— გადმოდი, დეზი, თმას შემოგკრეკე, თორემ ახლავე გაგიგებენ, რომ ბიკი არა ხარ.

— დედა ნებას არ მაძლევს-და, — დაიწყო ტირილი.

მე მაინც ძალად გავკრიკე. მერე დაფავლე ბეჭებზე ხელი, ერთ ღობის ძირას დავსვი და ვუბრძანე, მეორე დილა მდის იქ მჯდარიყო. სახელიც ხომ ასეთი აქვს ამ თამაშს — „დაკარგული ბავშვი“.

მას შემდეგ შევხტი ურემზე და შინისაკენ გავაქანე. დეზიმ ბევრი მიყვირა, მაგრამ ყური წაფუყრუე, თითქო არ მესმოდა, თორემ თამაშიც თამაშს აღარ ემსგავსებოდა. მოღრუბლული დღე იყო და წვიმამაც დაუშვა, შინ რომ მივედი, სრულიად დაბნელდა. უმფროსები ვახშმად ისხდნენ; სუფრაზედ მშვიერი ბავშვის მიმზიდველი გემრიელი ხაჭაპური იდგა.

— ა-ა! აგერ მოვიდნენ!—სთქვა დედამ ღიმილით. დეზი სადღა არის, ეორეიკ? უთხარ, მოვიდეს.

— ჩვენ „დაკარგულ ბავშს“ ვთამაშობდით და დეზი დაიკარგა, — მიეუგე მე.

— სად დაიკარგა? მკითხა დედამ ჯერ კიდევ სიცილით.

— მინდორში ზის, ღობის ძირას.

ვერ მოვასწარ ამ სიტყვების დასრულებას, რომ ელვა ნაკრავებივით წამოცვივდნენ ყველანი. ელვა კი არა, გრგვინვა კეკა, ქუხილი, — სუყველა აქ იყო!

— როგორ? ხუმრობ თუ? დამიყვირა მამამ და ისე მაგრა მომიქირა ბეჭებზე ხელები, რომ ტკივილისაგან კინაღამ დავიღრიალე.

— არა, მამა, სრულიადაც არა ვხუმრობ. ჩვენ ვთამაშობდით. მე ყანალი ვიყავი, ის კი ღარიბი ბიჭი. ვაჟყვევით ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას, დაათვალიერეთ ყველა ღობის ძირი და უთუოდ იპოვნით სადმე.

ვახშამი ვიღას აგონდებოდა! ქალბატონი დენნიზი ხელებს იმტვრევდა და სასოწარკვეთილებით ყვიროდა: „საწყალ ჩემს ბავშს ქუხილისა ეშინია, შიშისაგან მოკვდება, ის ისეთი სათუთია, რომ უთუოდ გაცივდება!“

რატომ ეშინოდა ასე, არ მესმის: დეზი ხომ შაქარი არ იყო, რომ დამდნარიყო.

— შენ საძაგელი ხარ, საზიზღარი, ცელქი! — მითხრა სუზიამ და გამომგლიჯა საინი, რომლისკენაც ხელი გავწიე. — როგორ არ გრცხვენია ასე არხენად სუფრაზედ ჯდომა, როცა საბრალო დეზი გარედ წვიმაში იყინება? რა გაქვს, გიჟო, ეს ჯიბეში? რადაა ასე გამომბერილი?

— ეს დეზის თმია; რომ არავის ეცნო, გოგოაო, ავდექი და მოკლედ გავკრიკე. თქვენ ახლა ქალს-კი ნუ ეძებთ, გაკრეკილია და პირისახეც გამურული აქვს. თუ შეგხვდეთ ჩემი ძველი ტანისამოსით პატარა ბიჭი, იცოდეთ, რომ დეზია.

ქალბატონი დენნიზი იატაკზე დაეცა, — ალბად გული შეუწუხდა. დედა ტიროდა და პირზე წყალს ასხურებდა. მა-



მამ სანათი აანთო. ისა, სუზია და ორმოცამდე ჩვენს მკვამლსა
ზობლები დეზის საძებნელად წავიდენ.

სწორედ თავი მომაბებრეს. რა ალიაქოთი ააყენეს! მე-
რე რისთვის? ჩვენმა თამაშმა მართლა რომ კარგად ჩაიარა
და დეზიც მართლა დაიკარგა! თითქო დიდი უბედურება ყო-
ფილიყოს! უვახშმოდაც დავრჩი: მიბძანეს წინ გაძლოლა და
გზის ჩვენება. მერე რა მხეცურად მებყრობოდნენ... მთელი
გზა მლანძღეს, თითქო მე იქ არც-კი ვიყავ. მეძახდენ გიტს,
უფარგის ბიქს, თავზე ხელაღებულს... მოგონებაც მეძნელე-
ბა, რა ვიცი, რა სახელს არ მარქმევდნენ! ძალიან ვწუხვარ!
თუ უკუდი იყო რომ მცოდნოდა, ხომ არც ვიზამდი. ნეტა ყველას
ალოცებდნენ ეკლესიებში, რომ გავსწორდე. ჩემი რა ბრა-
ლია, რომ მუდამ უბედურება მდევნის?

ქალბატონმა დენნიზმა მეორე დილით, საუზმეს შემდეგ,
წასვლა გამოაცხადა. „მისი დანახვა არ შემიძლიაო“, ამბობ-
და ჩემზე. ეს იმიტომ, რომ წვიმდა, როცა დეზი დაიკარგა.
ძალიან მოხარული ვიქნები, თუ დეზის თმა მალე ამოუვა,
თორემ ისეთი ღრიალი ზორთეს, როცა დაინახეს, თითქო თავი
მომეჭრას. ის კი არავის აგონდებოდა, რომ თავით ფეხამ-
დე დაესველდი, როცა დეზის საძებრად წინ გამიგდეს! მე-კი
პატარა არა ვარ?... არც არავინ მომეფერა, როცა დეზი მო-
ვიყვანეთ, არც არავინ ცხელი ჩაი დამალევეინა, არც არავინ
სასტუმროში ტახტზე დამაწვიინა, სადაც დიდები ისბდენ. არა-
ვინ! ძალღივით გარედ გამიგდეს და მამა დამემუქრა: „თვი-
თონ მოვალ შენთანაო“ ჰმ! ვიცი, რასაც ნიშნავს ეს „თვი-
თონ მოვალ“.

თავი V

ძლევა და ახალი უბედურება

სსსუ! საყვარელო დღიურო! საომრად ყველაფერი მზა-
და მაქვს. სურსათი მოვადგოვე, კარი დავკეტე კარზე ტახტი
მივადგი, ტახტზედ მაგიდა და მაგიდაზედ სარკია!

ამოვიდა მამა, კარი დამირაკუნა... მიბძანებს, კარი გა-
აღეო! მე თავივით გავინაბე. ოჰ, სადაა ერთი ობობა, თა-
ვისი ქსელი გააბას კლიტის ნახვრეტში, რომ მტერმა არ იფიქ-
როს, თუ აქ ვინმეა. თუ კარები შემომამტერია, სწორედ უბე-
დურება დატრიალდება. არ ვიცი. რამდენ ხანს მეყოფა ეს ჩე-
მი საქმელები? დარწმუნებული ვარ, თუ სარკე გადმოვარდა
და გატყდა, ყველა მე დამაბრალებს. „ყველაფერში ეს ცელ-
ქი, ეს გოგია დამნაშავეო,“—იტყვიან დიდები.

...ქარიშხალს ყოველთვის სიწყნარე მოსდევს. ამ სამი
ღლის წინედ მოღრუბლული იყო ცა, დღეს კი მოწმენდილია.
შემირიგდნენ! ჩემს სიცოცხლეში პირველად ვარ გამარჯვე-
ბული. გამომიცხადეს, თუ შენი სიმაგრიდან გამოხვალ, თით-
საც არ წაგაკარებთო. ცოტა არ იყოს მშოიდა, სურსათი გა-
მომეღია და, რასაკვირველია, სიხარულით გამოვედი. ქალბა-
ტონი დენნიზო წაბრძანებულა თავისი ქალით. გზა მწვიდობისა!
ოთხშაბათსა და ხუთშაბათს ჩვენს ქალაქის დარბაზში ღარიბთა
სასარგებლოდ დანიშნულია ვაქრობა. ახლა კი მივხვდი, რად
მეფერებით ასე ჩემო დებო: მე იმათთვის საკირო ვარ; გუშინ
იმდენი მარბენინეს, რომ ფეხები მეწვის.

ეტყობა ძალიან მხიარული ვაქრობა იქნება. სუზიამ
ჩემთვის ათი ბილეთი უნდა აიღოს და მე ნება მექნება—ორ-
განი დავუკრა, იმ პირობით კი, რომ კვირიანად ვიყო და დებ-
საც ვუშველო. რა კარგი იქნება! მე შემოძლია ამ ნაირად ორ-
განის დამკვრელი გავხდე და მაშინ აღარაფერი დაეხარჯებათ
ჩემზე ჩემს მშობლებს. ნეტაუი, ერთი ორგანი და შაიმუნი მაშოვ-
ნინა!.. მაშინ კი აღარ დავდგები რკანის გზის „უფროსად“
ვაქრობა დაიწყო.

„სანთლის ალი ლაპლაპებს!

დარბაზი მორთულია“

პირველმა საღამომ ჩინებულად ჩაიარა. მე თავი ვისახელე!
გულზედ თაიგული მქონდა და ხუთსი სიგარა ოც ცენტად*)

*) ცენტი—მეასედი დოლლარის—2 კაბ.

გავციდე. სუზიამ ძალიან დამიმაღლა, — სარფიანად გავციდ-
 ნიანო. ეორეკი შველოდა დებს, ქალაღში გავიდულ ნიე-
 თებს ახვევდა.

მეორე საღამოც ერთ ხანად გვარიანად მიდიოდა. მე
 ორგანი უნდა დამეკრა. მომწყინდა ცდა და ვუთხარი ქალებს:
 „გინდათ გაჩვენოთ, რა მაქვს ჯიბეში“ გვინდაო. მეც ჯიბი-
 დან ამოვიყვანე ერთი ბეწვა თავგი და სტოლზე დავსვი. არ
 ვიცი, რით არის საშიშარი ერთი ციკქნა თავგი!

განა ჩემი ბრალია, საყვარელო დღიურო, ქალები რომ
 წივილ კივილით თავიანთ ადგილებიდან წამოცვიდნენ და
 ლაშპარი გასტებეს? ლაშპარი რომ გატყდა, იქვე დაწყობილ
 ნიეთებს ნაეთი გადაესხა და ცეცხლი მოეკიდა. ის სულელი
 ქალები რომ არ წამომხტარიყვნენ, ხომ არაფერი უბედურე-
 ბა მოხდებოდა. ხალხი კიბეს მოაწვა. ზოგი ყვიროდა, ზოგი
 ქვევით მოგორავდა, ზოგს შუბლზე კოპებიც ამოაჯდა. მად-
 ლობა ღმერთს, რომ არაეინ მომკვდარა. ერთმა ყმაწვილმა
 კაცმა ფეხი მოიტეხა; ძალიან მეცოდება, მაგრამ ახია იმაზე,
 რად გადმოხტა რიკულიდან? არ უნდა გადმოხტარიყო!

ჩემს დებს მთლად ჩამოახიეს კაბები. იმ ალიაქოთში
 ფულის ყუთის წამოღება დაავიწყდათ და ორას ორმოცდა
 ათი დოლლარი დაიწვა*) ქალაქის საკრებულომ, როგორც
 ამბობენ, სამი ათას დოლლარამდე იზარალა.

რა სისულელეა, ერთმა პატარა თავგმა ასე როგორ გა-
 დარია იმოდენა ხალხი! ყველაფერი ამ მშიშარა ქალბატონე-
 ბის ბრალი იყო და ეორე პაკეტს ე. ი. მე კი დამდეს ბრა-
 ლი!.. მოქალაქენი თურმე აპირებდნენ ეთხოვათ მაშიჩემისთვის,
 სადმე პანსიონში მიიბარე ეგ აბეზარი და მოგვაშორე თავიდ-
 განაო!

მეორგანე მილლერის დუქანიც დაიწვა. ძალიან მეცო-
 დება საწყალი, მაგრამ უფრო ორგანი მენანება.. ისიც დაიწვა!
 ათი ბილეთი მქონდა ორგნის დასაკრავად! რამდენ მშვენიერ

*) დოლლარი — ორი მანეთია.

სიმღერას დაეუკრავდი!!.. დიდი უსინდისობა ჩაიდინეს, რომ ორგანი მაინც არ გადაარჩინეს! როგორ შერცხვნენ ჩვენი ქალბატონები!

თავი VI

ხელში ვუვარდები მაწანწალებს

ალარ გავაგძელებ, რაც თავს გადამხდა, თორემ არც-კი დაიჯერებენ, თუ ამდენი უბედურება დამტეხოდეს თავს მე, საწყალ ბავშვს. ჯერ ლილას ქორწილში შევირცხვინე თავი. უნდა მოგახსენოთ, რომ მონტევიუ, ერთი ჩვენი ნაცნობთაგანი, პოულოდნელად ძალიან გამდიდრდა და ლილი ითხოვა. ჩვენებიც დასთანხმდნენ. ქორწილმა ძალიან მხიარულად ჩაიიარა. მე იმდენი ვსვი და ვკამე, რომ კინალამ ქაპარი შემაწყადა. ბოლოს პატარძლის სადღეგრძელო შემომთავაზეს. წამოვდექი, ხელში ღვინით სავსე ფიალა ავიღე და წარმოვსთქვი: «ესვამ ლილის სადღეგრძელოს, რომელიც ქპარს მიჰყვება და ჩვენ გვშორდება. ვისურვებ, მის პატარა ბავშვებს არ აგლეჯდნენ თმას, არ უსრესდნენ ყურებს, არ სცემდნენ წკებლებით და მთელ დღეს იქით-აქით არ არბენიებდნენ, როგორც მის პატარა ძმას უშვრებიან».

ალარც-კი მაძალეს დასრულება, მატარებელზე მიეჩქარებოდათ... მეორე დღეს მე ვცადე ჩემი თვალთმაქცობის ჩვენება ჯერ სასტუმრო ოთახში და მერე თავლაში. სასტუმროში ერბო კვერცხი გავაკეთე მაშინემის მეგობრის, მსაჯულის, ქუდში და მეგონა, მეც, როგორც ნამდვილ თვალთმაქცს, მთელი, ნაქუქიანი კვერცხი აჰომეყვებოდა (ეს მე საკუთარი ჩემი თვალით ვნახე წარმოდგენაზედ), მაგრამ, საუბედუროდ, სულ სხვა გამოვიდა: სტუმრის ქუდი მთლიან გავთხვარე და ამას გარდა, როცა ქუდი გადმოვებრუნე საჩვენებლად, აქ არაფერია მეთქა, იატაკის ფარდაგიც გავსვარე. ამის გამო უვახშმოდ დამტოვეს და გაწყებლასაც დამემუქრნენ. მეორედ თავლაში დედნიემის საათი დავნაყე, ქვიჯაში, შინდოდა

მეჩვენებინა, რომ საათი ისევ მთელი იქნებოდა, მაგრამ სულ წინააღმდეგი გამოვიდა. მაშინ-კი მამა ძალიან გაჯავრდა და ნწარედაც გამწყვლა.

ღმერთო! რა მეცოდებოდა ჩემი თავიც, მამაც და დედის საათიც!.. ერთხელ კიდევ, როცა ეკლესიაში ვიყავით, ჯიბეში ფიშტო გამივარდა... სწორედ უბედურებაა! როგორ მოხდა არ ვიცი. დიდი უწყესობა-კი იყო. მამამ გამიყვანა გარედ და საფლავის ქვაზე დამსვა.

— ეორე, შენ ნამდვილი სულთამბუთავი ხარ ჩემი და დედიშენისა. შენ არცხვენ ჩვენს ოჯახს. ვფიქრობ და ვერ მომიფიქრებია, რა გიყო შე საბაგელო. — დაიწყო ჩემ გარშემო სიარული და კენესა, თითქო ჩექმები უქერენო. მეც სასოწარკვეთილებაში ვიყავ ჩავარდნილი, არ ვიცოდი, რა მექნა.

— საყვარელო მამა, რატომ არ მიმბარე ცირკში მასხარად? ხელა-კი გვიანაა, ცირკი წავიდა. ან არა და მისიონერად წავალ. როგორც გავიგე, ბატონი სლოკუმი (ჩვენი პასტორი) ველურებთან აპირებს წასვლას საქადაგებლად. წავყვები მას, თუნდა კაცის მკამელებმაც შემკამონ. მაშინ პატარა ეორეი თქვენ აღარ შეგაწუხებთ. ღმერთო ჩემო! წითელი მიინც შემყროდა, ან და ფეხებზე ბორკილი დამადეთ... ოლონდა შენ და დედა მოსვენებული იყოთ.

— ძალიან კარგი! სწორედ აგრე იყოს! — მითხრა მამამ. თოკით შეკვრა გინდა, შენ სხვა არაფერი მოგარჯულებს!

წამიყვანა მამამ პირდაპირ შინ, უკან ხელები მომიგრინა, სწორედ ისე, როგორც მზარეული ფეხებს უგრებს შესაწვავ ინდოურს და დერეფანში შეშებზე მიმაკრა. დერეფანი სამზარეულოს გვერდითაა. მესმოდა ქურკლის ჩხარუნი, ცხვირში მცემდა საკმელების სუნი (ჩვენები სადილად ისხდნენ). დრო ქირის დღესავით გძელდებოდა.. წარმოიდგინე ჩემი სიხარული, საყვარელო დღიურო! ჩვენს ეზოში მომესმა ჩემი ამხანაგი ჯონის სტვენა. ფანჯრიდან ჩუმად მოვიხმე: იმანაც გასკრა თოკი და გამიხსნა ხელები.

— ჯონ, არაფერი უთხრა ჩვენებს ჩემ შესახებ. მე წავი-
 ლებ ჩემს ფიშტოს, ფულს და ისეთს ალაგას წავალ, სადაც
 არავის ეკოდინება, რომ მე ასეთი ცუდი ბავშვი ვარ.—სწო-
 რედ ასეც მოვიქეცი: ავირბინე ჩემს ოთახში, გამოვიტანე
 ფული და მოვცხრილე!

— ეი, შენ ბაქია! საით მიეშურები!—დამიყვირა ვილაც
 მაწანწალამ, რომელიც გზის პირას ხის ქვეშ იჯდა და ხორცსა
 და პურს შეეჭკვეოდა.

ეს იყო ორი საათის შემდეგ, რაც შინიდან გამოვიპარე.
 მივრბოდი შეუსვენებლივ და ჯიბეში ფული მედო, ფიშტო
 კი ვერ წამოვიღე, იარაღის ოსტატმა ფენნიგრნმა ის უკანვე
 წაიღო, რადგანაც ერთი დოღღარაი დავაკელი. უსინიღისო!

— თვითონ შენა ხარ ბაქია მივაძახე მაწანწალას.

— კარგი, ნუ ჯავრობ! მოდი, დაჯექ და მეგობრულად
 ვილაპარაკოთ. პური არ გინდა?

— გმადლობ, — ვუთხარი მე და გვერდში მივეუჯექი. დიდი
 ხანია სიმშლით ფერდი ფერდს მიმეკრა და ფეხებსაც ძლივს
 მივათრევდი.

— საით გისწიე? — მკითხმა ჩემმა მოსაუბრემ.

მე ვიკოდი, რომ მაწანწალები სანდონი არ არიან, მაგ-
 რამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი დაწვრილებით ეუბამე.

— გამოვიპარე. სუყველა ცუდ ბავშვად მთვლის, მოსვენ-
 ნებას არ მაძლევენ, სულ მლანძღავენ.

— ოჰო! — გაიცინა მაწანწალამ. — კაცის მკვლელი ხომ
 არა ხარ, ან ქურდი?

— არა, ბატონო მაწანწალავ, მე მხოლოდ ბევრ უბე-
 დურებას ჩავდივარ და ამიტომ გამოვიპარე. ეგება იცით, სად
 შემიძლია ვიშოვნო არღანი და მაიმუნი? მაშინ მე თვითონ
 ვიშოვნიდი ლუკმა პურს და დედ-მამას აღარ შევაწუხებდი...

— მე მაქვს ა-იმ ტყეში, სადაც ყველა ჩვენები ცხოვ-
 რობენ, არღანიც და მაიმუნიც; შეგიძლია წაიღო, თუ ჩვენ-
 თან წამოხვალ საცხოვრებლად, — წარმოსთქვა სიჩქარით მა-
 წანწალამ. — ჩვენსა კი არავინ დაგტუქსავს; ვაშლსა და კა-

კალს ვაგროვებთ, დავანთებთ უშველებელ ცეცხლს და საქმელს ვამზადებთ.

მეც იმას გავყევი. იქ ხუთიოდ მაწანწალა დავინახე. ისეთი საშიშარი სახის, რომ შიშისაგან თმა ყალყს დამიდგა. მაგრამ იმათ გაიცინეს და მოფერება დამიწყეს. „ყოჩაღ! ყოჩაღ ბიჭო!“—მეუბნებოდნენ. მაგრამ არც მაიმუნნი, არც ცეცხლი, არც ქვაბი! მარტო არღანი იდგა მოღზე. მაქამეს ყველი და პური და მიბძანეს დაწოლა. ტყეში ძალიან ცივოდა. შინ რომ შემტოვდებოდა, პოლლი მაგრა გამხვევდა თბილ საბანში, აქ კი არაფერი ამის მსგავსი არ იყო. ცხარე კრემლები მცვივოდა და თავზე ხელებს ვიფარებდი, რომ მაწანწალებს ჩემი ტირილი არ შეემჩნიათ. ჯერ არც კი ჩამძინებოდა, რომ ვილაცამ ფეხი წამკრა.

— ადექი,—მუშაობის დროა. შენ თუ გაგვიგონებ, რასაც ვიბრძანებთ, ძალიან გამდიდრდები, თუ არა და კისერს მოგიგრებთ.

არ შემიძლია გამოვხატო, რა ვიგრძენი, როცა ეს საშინელი სიტყვები გავიგონე! იმდენ ხანს ვიარეთ, რომ ფეხებს ძლივსლა მივათრევდი. ორი მაწანწალა უკან ჩამოგვჩაჩა; ბოლოს შევედით ერთ ქალაქში. საშინლად ბნელოდა და თოვდა. შევედით ეზოში. ჩუმად, კრინტი არ დასძრა, არ დაარახუნო, თორემ დაგაბრჩობთ, წამჩურჩულა ერთმა მათგანმა. მიბრძანეს ერთ ვიწრო ფანჯარაში შეძვრომა და შემდეგ სამხარეულოსი ან მისავალ კარს გაღება. იმ სახლში, როგორც ამბობდნენ, ძალიან ბევრი ფული იყო და პატრონის გაძარცვა უნდოდათ. ამწიეს და ფანჯარაში თავი შემაყოფინეს, თუმცა ეს ჩემთვის ვერაფერი სასიამოვნო იყო.

— აი, ასანთი,—წამჩურჩულა ერთმა მაწანწალამ აანთე და კარებისკენ გზა მოძებნე. გახსოვდეს! თუ დაარახუნე, მაშინვე დაგიჭერენ და ჩამოგაბრჩობენ, ვითარცა ქურდს.

ცივი ოფლი დამასხა; ხელი და ფეხი ამიკანკალდა. რას იტყვის ჩემი საყვარელი დედა, როცა გაიგებს, რომ მისმა

ქორციემა ქურდობა დაიწყო? მე შინიდან იმიტომ გამოვი-
პარე, რომ გავსწორებულიყავ, ახლა-კი ათასჯერ უარესი
შევიქენი. რა უბედური ვარ!

— ჩქარა, ჩქარა! — მაჩქარებდნენ ქვევიდან ხრინწიანი
ხმები.

გავეკარი წუმწემა — გაქრა, ხელმეორედ გავეკარი და გარ-
შემო მიმოვიხედე...

ი. ნიკოლაიშვილი

(შემდეგი იქნება)





საქართველოს
საქართველოს

წმ. პერონიკას ჩაღრი



სელმა ლაგერლეფისა

(გაგრძელება*)

ოხუცი ფაუსტინა პალესტინაში წავიდა, იერუსალემს მიემგზავრებოდა, რადგან არ უნდოდა დაეთმო ვისთვისმე, მოძებნა და იმპერატორთან მოყვანა იმ წინასწარმეტყველისა.

ფიქრობდა: „რასაც ჩვენ იმ უცხო ადამიანისაგან მოველით, — არც ძალით მოიპოვება და არც ფულით შეისყიდება; მაგრამ იქნება წყალობა მოიღოს, თუ-კი ვინმე ფეხებში ჩაუვარდა და უამბო, თუ რა უბედურებაშია იმპერატორი. ვინ შეევედრება ტიბერისათვის, სასოებით თუ არა ის, ვინც იმაზედ მეტად იტანჯება იმის უბედურებით“.

მოხუცი თითქო გამოაცოცხლა ტიბერის გადარჩენის იმედმა. ადვილად აიტანა ზღვით ხანგრძლივი მოგზაურობა იაფფამდე; იერუსალემში საკაციო-კი არა, ცხენით წავიდა. გეგონებოდათ, ისევე ადვილად იტანს მოგზაურობის სიძნელეს, როგორც იმის ამაღის კეთილშობილი რომაელნი, ჯარის კაცნი და მონები.

იაფფიდან იერუსალემამდე მოგზაურობამ მოხუცის გულს სიხარული და ბრწყინვალე იმედი მოჰფინა.. გაზაფხული იყო,

*) იხილეთ ნაკადული № 3.

და სარონის ველი, რომელზედაც მიდიოდნენ პირველ დღეს, ყვავილებით აქრღლებულ ფიანდახს წარმოადგენდა. მეორე დღესაც, როდესაც უკვე ჰურიასტანის მთებს შეუდგნენ, ისევ ყვავილებში ჰქონდათ გზა. გზა ბორცვებ შორის იხლაკნებოდა, და ყველგან ხეხილი და მწვანე წალკოტი მოჩანდა. როდესაც ატმის და გარგარის მკრთალ პირისფერ ყვავილებით იქანცებოდნენ, ვახის ნორჩი ყლორტით ტკებობდნენ.

მაგრამ მარტო ყვავილები და გაზაფხულის მწვანე არ იზიდავს მოგზაურის თვალს. უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა ხალხის მრავალი ჯგუფები რომელნიც ამ დილას იერუსალემის გზაზე ხვდებოდა მათ. ყოველი გზითა და ბილიკით, განმარტოებით ამართულ მალლობებიდან და ველის მიყრუებულ კუთხეებიდანაც მოდიოდნენ მგზავრები. როდესაც იერუსალემის მთავარ გზაზე გამოვიდოდნენ, ცალკე მგზავრები ერთად შეეჯგუფებოდნენ და შემდეგ სიხარულით აღვისილნი მიეშურებოდნენ იერუსალემში. ერთ მოხუცს მისდევდნენ მისი შვილები და ქალიშვილები, სიძეები და რძლები, და ყველა მისი შვილის შვილები. ისეთი დიდი ოჯახი იყო, რომ პატარა რაზმს შეადგენდა. მოხუცი დედა, რომელიც სისუსტისა გამო ქვეითად ვერ ივლიდა, შვილებს მხარზე შეესვათ.

მართლაც, ამ დილას თვით ჩათბრობილი გულიც შეეძლო სიხარულით აეცხო. ცა სრულიად მოწმენდილი არ იყო: აქა-იქ ნაცრისფერი ღრუბლები დაცურავდნენ ცაზე. მაგრამ არც ერთი მგზავრი არ აცხადებდა უკმაყოფილებას, რადგან ღრუბელი გახურებულ მზის ბრწყინვალე სხივს აგრილებდა ამ ბურუსით მოცულ სივრცეში აყვავებული ხეების და ნორჩი ფოთლებს. ის სუნნელება ისე მალე არ იფანტებოდა სივრცეში, როგორც ჩვეულებრივ; იგი თითქო ირგვლივ გზა-გზა ეფინებოდა. ეს შეენიერი დღე თავისი ფერმკრთალი სინათლით და მყუდრო ჰაერით მშვიდს საღამოს მოაგონებდა და რაღაც არა ჩვეულებრივ სულის სიმშვიდეს მოჰგვრიდა ადამიანს ასე რომ ყველა გახარებული იყო სადღესასწაულოდ მიდიოდნენ და

თან წყნარად გალობდნენ ძველებურ საგლობელს, ან ძველებურ საკრავებს უკრავდნენ.

ამ ხალხში შერეული ფაუსტინაც იშის სიმხნევითა და სიხარულით იყო გატაცებული. წამ და უწამ ცხენს უჯავრდებოდა. მოხუცი მიუბრუნდა თავის თანა მგზავრ ახალგაზრდარომაელს და უთხრა:

— წუხელის სიზმრად ვნახე ტიბერი. მთხოვდა, — გზაზე არ დაგვიანდე, დღესვე ჩადი იერუსალემშიო. მგონია, ღმერთებმა ჩამაგონეს დღევანდელ მშვენიერ დილას მოვსულიყავით იერუსალემს.

ამ დროს მთის ქედის მწვერვალზე ავიდნენ, და ფაუსტინამ ძალა-უნებურად ცხენი შეაჩერა. თვალწინ გადაშლილი იყო ღრმა ხეობა, რომლის გარეშემო საუცხოვოდ შემკული ბორცვები იყვნენ. მის ბნელ ან ჩრდილოვან სიღრმიდან მედიდურად ამართულიყვნენ კალთები, რომელთა წვერვალებზე მოეკალათა ქალაქ იერუსალემს.

ქალაქი თავის კედლებით და კოშკებით მთის წვერვალს ძვირფას გვირგვინივით ამკობდა, და განზე გაწეულიყო, გაზრდილიყო. ველიდან ამართული მახლობელი ბორცვები კარავებით იყო აჭრელებული და ხალხის ყიყინით გამოცოცხლებულიყო.

ფაუსტინა ფიქრობდა, მცხოვრებნი იერუსალემს მიემგზავრებიან, რომ იქ დიდებულ დღესასწაულს დაესწრენო. შორეულ კუთხეების მცხოვრებნი უფრო ადრე მოსულიყვნენ და უკვე გაეშალათ კარავები. ახლო მიდამოების მცხოვრებნი კი მხოლოდ ეხლა მოდიოდნენ. ყოველი მხრით განუწყვეტელ ნიაღვარსავით ირეოდა თეთრი ქსოვილები, სიმღერა, სადღესასწაულო ჟრიაბული, ყიყინა.

დიდხანს უყურებდა მოხუცი მომავალ ბრბოს და კარავთა გრძელ წყობას.

— ეტყობა, სულპიცი, მთელი ერი იერუსალემს მოსულია, მიუბრუნდა თავის თანამგზავრს.

აქვე ეყარნენ მათხოვარები და კუტები, რომელნიც მგზავრებს მოწყალებას სთხოვდნენ.

აღმართზე ერთი ებრაელი ქალი ფაუსტინასთან მივიდა.

— შეხედე, — და მოაჯირზე მჯდომარე ერთ მათხოვარაზე მიუთითა, — ეს — გალილეის მცხოვრებია. ეხლა მაგონდება, რომ წინასწარმეტყველის თაყვანისმცემელთა შორის მინახავს ევა. მაგას შეუძლია გითხრას, სად არის ის, ვისაც შენ ეძებ.

ფაუსტინა და სულპიცი ამ კაცთან მივიდნენ. ეს იყო ღარიბი გრძელ თეთრ-წვერიანი მოხუცი. სახე მზის სიცხისაგან დამწვარი ჰქონდა, ხელები მთლად დაკოტიეებული მუშაობისაგან. იგი მოწყალებას არა თხოულობდა; პირიქით ისე ღრმად წასულიყო თავის მწუხარე ფიქრებში, რომ მისულ მხედრებს არც-კი შეხედა.

სულპიციის კითხვა ვერ გაიგო, და იგიც იძულებული იყო რამდენჯერმე გაემეორებინა თავისი სიტყვები.

— მითხრეს ჩემო მეგობარო, რომ შენ გალილეელი ხარ. არ შეიძლება, მითხრა, სად შემიძლია ვნახო ნახარვევი წინასწარმეტყველი?

გალილეელი შეკრთა და შემლილივით შეხედა. როდესაც, უკანასკნელი მიხედა, რასაცა სთხოვდნენ, განრისხდა, და ეს რისხვა შიშთან ერთად იყო შერეული.

— რაო, რა სთქვი?! — ეცა იგი რომაელს. — რად მკითხავ შე იმ კაცის აზრებს. მე არაფერი ვიცი, მე გალილეელი არა ვარ!

მაშინ ებრაელი ქალი ჩაერია ლაპარაკში.

— მე თვითონ მინახევხარ მასთან ერთად! ნუ გეშინის, უთხარ ამ კეთილშობილ რომაელ ქალს, რომელთანაც იმპერატორი მეგობრულადაა განწყობილი, სად იპოვოს წინასწარმეტყველი.

მაგრამ წინასწარმეტყველის შეშინებული მოწაფე უფრო და უფრო ცხარობდა.

— გონება ხომ არ შერყევია დღეს ყველას? —
 ხა მან: — ან ბოროტი სული დაჰპატრონებია ამათ, რომ ყვე-
 ლა, ერთი-ერთმანეთზე, ჩემთან მოდის და მოციქულის ამბავს
 მკითხავს? რატომ არავენ მიჯერებს, როდესაც ვეუბნები,
 რომ მე არ ვიცი ვინასწარმეტყველს? მე მისი ქალაქიდან
 არა ვარ მოსული და არც მინახავს იგი არასოდეს.

მისმა განრისხებამ ყურადღება მიიქცია, და მის გვერდით
 მჯდომე მათხოვრებმა მისი საბუთების გაბათილება დაიწყეს.

— შენც მის მოწაფეებს ეკუთვნოდი, — უთხრეს მათ: —
 ყველამ ვიცით, რომ მისთან ერთად მოხვედი გალილეიდან.
 მაგრამ ამ კაცმა ორივე ხელი ცას აღაპყრა და წარ-
 მოსთქვა:

— დღეს იერუსალემში ყოფნა არ შემეძლო იმის გამო,
 ეხლა კი აქაც არ მასვენებენ. მათხოვართა შორის. რატომ არ
 ერწმუნებით ჩემ სიტყვას, რომ მე არასოდეს არ მინახავს იგი?
 ფაუსტინამ მხრები შეიშმუშნა და მიბრუნდა იქით.

— იქით წავიდეთ, — სთქვა მან: — ეს კაცი შეშლილა მა-
 გისაგან ვერაფერს გავიგებთ, — და მთას შეუდგნენ ამ სიტყვე-
 ბით. სულ ორი ნაბიჯი-ღა ჰქონდათ ქალაქის კარამდე რომ
 ებრაელმა ქალმა, რომელიც წინასწარმეტყველის პოვნას
 ტდილობდა, დაუყვირა მოხუც ქალს, შეეჩერებინა ცხენი.
 ფაუსტინამ გააჩერა ცხენი და დაინახა, რომ ცხენის ფეხ ქვეშ
 მიწაზე განართხული იყო კაცი; მტვერში იწვა, სწორედ იმ
 ადგილას, სადაც უფრო ირგოდა ხალხი, და მარტოოდენ სას-
 წაულით აიხსნებოდა, რომ ან საქონელმა არ გასრისა, ან
 ხალხმა.

კაცი გულაღმა იწვა; არ იძროდა, თუმცა აქლემები მის
 გვერდით დგამდნენ თავის მძლავრ ჩლიქებს. ღარიბად ეცვა,
 და ეს ტანსაცმელიც ტალახსა და მტვერში ჰქონდა მოთხუ-
 ნული. ზედ იმდენი ქვიშა მიეყარა, რომ კაცი იფიქრებდა,
 მთლად ქვიშაში ჩაფლავს სურს, რათა უფრო ადვილად გასრი-
 სოს ან გადუაროს საქონელმაო.

— ეს რას ნიშნავს? რად გორავს ეს კაცი ვხაზე?

განართხულმა კაცმა მგზავრებს ყვირილი დაუწყო.

— შემობრალეთ, ძმანო და დანო! გადაშიართ ზედ თქვენი ურმებით და დაბარგული საქონლით! გვერდს ნუ მიქცევთ! გამსრისეთ კორიანტელში! უმანკო სისხლი გავეცი მე უბედურმა. გამსრისეთ, გამსრისეთ!.. სულპიციმ აღვირში ხელი სტაცა ფაუსტინას ცხენს, და ვანზე გაიარა.

— ეს — ცოდვილია; ეხლა ინანიებს დანაშაულს. დროს ნუ დაჰქარგავ მაგისა გამო. თავისებური ხალხია და თავისივე გზით იაროს.

დაცემული კაცი კი კვლავ განხარბობდა ყვირილს:

— ფეხით შემდექით გულზე! დაე, აქლემმა გულის ფიცარი შემინგრიოს! დაე სახედარმა ჩლიქით ამომიგდოს თვალები!

მაგრამ ფაუსტინამ ვერ შესძლო უბედურის გვერდზე გავლა ისე, რომ თვალი მაინც არ გადაეველო და ერთხელ მაინც არ შეეხედა. იგი ჯერ კიდევ გვერდით უდგა.

ებრაელი ქალი, რომელიც ისე ეხმარებოდა მოხუცს, მიიქრა ფაუსტინასთან:

— ეს კაციც წინასწარმეტყველის მოწაფეთა რიცხვს ეკუთვნის; ხომ არ ინებებთ, რაიმე გამოგვითხო მისი მასწავლებლის შესახებ?

ფაუსტინამ თავი დახარა; ქალი დაცემულთან მივიდა.

— რა უყავით, გალილეველებმა თქვენს მოძღვარს? დღეს აქეთ-იქით დაფანტულებსა გხედავთ თქვენ, ის კი არსად ჩანს!?...

ეს სიტყვები რომ სთქვა ქალმა, განართხული კაცი მუხლებზე წამოაოჩნდა.

— რომელმა ბოროტმა ძალამ ჩავაგონა ეგ სიტყვები? — იმედ-მიხდილ კილოთი ჰკითხა მან. — შენც ხედავ, რომ მიწაზე ვარ განართხული, რაღა გამსრისოს ვინმე. განა ეს არა კმარა შენთვის? რაღად შეკითხები, რა უყავ შენს მოძღვარსაო?

— ვერ გამიგია, რას მაყვედრი, — უბასუხა ქალმა, — მე მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, თუ ადარის შენი მოძღვარი?

ამ სიტყვებზე გალილეველი წამოხტა და თითები ყურში ჩაიცვა.

— ვაი შენ, რომ წუნარად სიკვდილის ნებასაც არ მიძლევ! — დაიყვირა მან, შევარდა ბრბოში, რომელიც კარებთან ირეოდა, გავარდა ღრიალით, და შავი ფრთებივით ფრიალებდა მისი ტანსაცმელის ნაფლეთები.

— ვგონებ, შეშლილთან გვაქვს საქმე, — სთქვა ფაუსტინამ, გაქცეული კაცი რომ დაინახა.

წინასწარმეტყველის მოწაფეთა შესახედაობამ მთლად გააშმაგა მოხუცი.

— ნუ თუ იმ კაცს, რომელსაც ასეთი უტვინონი დასდევნენ, შეუძლია რამე უწველოს მეფეს? — ებრაელიც ძლიერ მოწყენილი ჩანდა, ბოლოს მოახსენა:

— ქალბატონო, ნულარ აყოვნებს მოსძებნე ის, ვინც გინდა. იქნება უბედურება რამე შეიმთხვა, რომ ყველა მის მოწაფეს თითქო ჭკუა დაუკარგავსთ და ვერც მის შესახებ ლაპარაკი მოუსმენიათ.

ბოლოს ფაუსტინამ და მისმა ამაღამ გაიარა ქალაქის კარები და ხალხით გაქედით ვწრო ბნელ ქუჩებში შევიდა. ყოველად შეუძლებელი იყო ქალაქში გაეღო. ყოველ ნაბიჯზე ცხენოსანნი უნდა გაჩერებულიყვნენ. ამაოდ ცდილობდნენ გზის გათავისუფლებას ჯარის კაცნი; ხალხი მაინც მძლავრად თავს იყრიდა.

— რომის განიერი ქუჩები ამ პაწაწა ბილიკებთან შედარებით წყნარ სასეირნო ბაღებს მოგაგონებს, — სთქვა ფაუსტინამ.

სულბიცი მალე დარწმუნდა, რომ იქით უფრო მძიმე დაბრკოლება აღმოუჩნდებოდა.

— ამ გაქედით ქუჩებში ქვეითად სიარული სჯობს ცხენსა, — სთქვა მან; — თუ ძლიერ არ დაქანცულხარ, მე გირჩევ




ქვეითად მიხვიდე მოადგილეს სასახლემდინ . მართალია,
შორს არის აქედან, მაგრამ ცხენით შუალამემდისაც ვერ
მიალწევ.

ფაუსტინა მაშინვე დაეთანხმა. ჩამოხდა ცხენიდან და
შონას მიაბარა ცხენი.

პავ. დ—ძე

(შემდეგი იქნება)





მითღობია

ტროადის ომი

მსხვერპლის შეწირვა



ლლინთა მხედრობისა და ტროადელების სარდ-
ლები მსხვერპლის შეწირვის თავდარიგს შეუ-
დგნენ. სანამ მსხვერპლის შეწირვას მოაწყობ-
დნენ, ჰერა ქალღმერთმა გაგზავნა მენელაოს.

მეუღლე ელენასთან თავის შიკრიკი ქალ-
ღმერთი ირისი, რომელმაც მეფე პრიამოსის
ქალის ლაოდისას სახე მიიღო.

მშვენიერი ელენე იმ დროს, როცა მას
ჰერას მიერ გამოგზავნილი შიკრიკი გამოეცხადა, თავის სამეცა-
დინო ოთახში იჯდა და ძვირფას მანდილს ჰქსოვდა. ძვირფას
მანდილში ხელოვნურად ჩაქსოვილი იყო ელლინებისა და
ტროადელების ომის სხვა და სხვა სურათები.

ირიდა ქალღმერთმა ესეთი სიტყვებით მიჰმართა მშვე-
ნიერ ელენეს: „წავიდეთ, ჩემო ძვირფასო, და შენი საკუთარი
თვალთ შეამოწმე, როგორი საკვირველი ამბები ხდება ტროა-
დის ზღუდეთა ირგვლივ.

აქვევლები და ტროადელები, რომელნიც ესეთი დიდი
ამბით შეიკრიბნენ ბრძოლის ველზედ და ის იყო მთელი მი-
დამო სისხლის მორევში უნდა შეეცურებინათ, ამ ეპიდ
სრულიად უხმოდ, უსიტყვოდ, მდუმარედ შეჰყურებენ ერთი
მეორეს. მეომრებს იარაღი შემოუხსნიათ, შუბები მიწაში
შაურჰვიათ და, თითქო დარდი არა აწუხებთ რა, ისე ისევ-
ნებენ.

მთელს მხედრობაში მხოლოდ მენელაოსს და პარისს არ დაუყრიათ იარაღი. ეს ორი გმირი უნდა შეებრძოლოს ერთი მეორეს და ვინც მათგანი სძლევეს, ის დაგვატრონება შენ.

ირიდა ქალღმერთის სიტყვები ღრმად ჩასწვდნენ ელენეს გულში და იგი ტკბილ ოცნებას მიეცა. მშვენიერ ელენეს მოაგონდა თავისი პირვანდელი მეუღლე, თავისი საშობლო ქალაქი, თავისი მშობლები და ნათესავ მეგობრები. საბრალო ქალს მშვენიერ თვალებიდგან ცრემლების ნაკადული წასკდა. ელენემ დაუყონებლივ ჩაიცვა ვერცხლის ფერი ტანთსაცმელი და სკეის ბქის კარებზედ წამოდგმული იყო მაღალი კოშკი, საიდანაც მეფე პრიამოსი ბრძოლის ველს გადასცქეროდა.

მეფე პრიამოსთან ისხდნენ ტროადის წარჩინებულნი მოხუცნი, რომელნიც თავის ხანგრძლივ გამოცდილებით დახელოვნებულნი იყვნენ ომის საქმეში და მეფეს საკირო რჩევას აძლევენ. როცა მოხუცებულებმა დაინახეს მათკენ მიმავალი მშვენიერი ელენე, ერთმანერთს ჩუმი ხმით წასჩურჩულეს: „განა ვისმე უნდა აკვირვებდეს, რომ ტროადელები და აქვევლები ამ მშვენიერ ქალისათვის ერთმანერთს ებრძვიან და ამოდენა უბედურებას ითმენენ! ეს ქალი თავისი სილამაზით და მშვენიერებით უკვდავ ქალღმერთების მგზავსია, ქეშმარიტად.

„მოდი ჩემთან, შვილო“, სიყვარულით მიესალმა მეფე პრიამოსი ელენეს, „დაჯექ ჩემს გვერდით! აქედან შენ დაინახავ შენს პირვანდელს მეუღლეს, აქედან დაინახავ შენს მეგობრებს და ნათესავებს! ნუ ტირი, შვილო! შენ არავითარი დანაშაული არ მიგიძღვის, ომი ჩვენსა და აქვევლებს შორის გამოწვეულია თანხმად ღმერთების სურვილისა! დამშვიდდი! შენ მხოლოდ მითხარი, ვინ არის ის წარჩინებული მეომარი, რომელიც მხედრობის შუა ადგილას დგას? მახედ უფრო მშვენიერი, კეთილშობილი და დიდებული მე ჯერ მეომარი არ მინახავს! ქეშმარიტად, მეფის დარი მეომარია!“

„ჩემო მამამთილო“! უპასუბა ელენემ, „შენი სიტყვები შიშსა და მწუხარებას მიორკეცებენ. ჩემთვის ათასჯერ უფ-

რო უმჯობესი იყო მოვმკვდარიყავ, სანამ ჩემს სამშობლოს, ჩემს შშობლებს და ნათესავეებს დაეტოვებდი და შენს შვილს გამოვყვებოდი! ვაი რომ ასე არ მოვიქეცი! და აი, სწორედ ამას დაესტირი, სწორედ ამისათვის ვაფრქვევ ცხარე ცრემლებს! შენ შეკითხები, ვინ არის ის წარჩინებული მეომარი? მოგახსენებ: ის არის ჩემი ყოფილი მაზლი, ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალი აგამემნონი!

„ბედნიერ ვარსკვლავზედ დაბადებულო, ძღვეა-მოსილო მთავარ სარდალო!“ მწუხარედ წამოიძახა მოხუცმა მეფე პრიამოსმა: „ნეტარება შენ, აგამემნონ, რომ ამოდენი ურიცხვი მხედრობა ემორჩილება შენს ძლიერებას!“

„აბა, ძვირფასო შვილო, მითხარ, ვინ არის ის მეომარი, რომელიც აგამემნონის გვერდით დგას? სიმაღლით იგი თუმც აგამემნონს ვერ შეედრება, მაგრამ მხარ მკერდი უფრო ფართო და ძლიერი აქვს. აი, ხედავ, იარაღი მიწაზედ დაუწყვია და დანაკლებს რაზმთა შორის წინ და უკან დასეირნობს!“

„იგი არის ოდისევსი“ უპასუხა ელენემ „მეფე ლაირტის შვილი, კაცი შეტად ბრძენი და მისთან ცბიერი. სამშობლო ამ წარჩინებულ მეომრისა ციკაბ კლდოვანი კუნძული იტაკია!“

შიკრიკებს მსხვერპლად შესაწირავი ცხვრები დანიშნულს ადგილისაკენ მიჰყავდათ. თხის ტყავებისაგან გაკეთებულ ტიკები ღვინით იყო ავსებული. ვერცხლის და ოქროს ჯამები და თასები მსხვერპლის შესაწირავ ადგილას მოეგროვებინათ.

• მოხუცმა შიკრიკმა ელლინთა მთავარ-სარდალის სახელით მიიპატივთ მსხვერპლის შეწირვის დროს დასასწრებლად მეფე პრიამოსი. მოხუცი მეფე ძრიელ შეწუხდა, როცა მენელაოს და პარისის შორის დადებული პირობის შინაარსი გაიგო, მაგრამ მიუხედავად ამისა ბრძანება გასცა ეტლში რჩეული ცხენები შეგებათ ელლინთა მხედრობის ბანაკში გასამგზავრებლად.

მეფე პრიამოსი ჩაჯდა ეტლში, გვერდით მშვენიერ საჯდომზედ მოისვა ყველას მიერ პატივცემული შვილი ანტიენორი. მეფემ მარჯვედ დაუქირა ცხენებს სადავეები და ელვის სისწრაფით გაეშურა ელლინთა ბანაკისაკენ.

როცა მეფე მიუახლოვდა მხედრობის ბანაკს, ეტლიდან ჩამოვიდა და ტროადელებისა და აქვეელების რაზმთა შორის ფეხით გაემართა მსხვერპლის შესაწირ ადგილისაკენ. მეფეს მიეგებნენ მთავარსარდალი აგამემნონი და ცბიერი ოდისევსი.

მსხვერპლის შესაწირავ ადგილას შეიკრიბნენ ორთავე მხედრობის თავადები და სარდლები. შეიკრიბებმა წინ წამოაყენეს სამსხვერპლო ცხვრები, თასებში ჩაასხეს ღვინო და შეფეფებსა და სარდლებს ხელები დაუსხურეს ღვინით. აგამემნონმა ამოიღო ქარქაშიდან ბასრი ხმალი და ცხვრებს თავზედ რამდენიმე მუქა ბალანი შესჭრა. შეიკრიბებმა ეს ბალანი ტროადელებისა და აქვეელების სარდლებთა შორის გაანაწილეს. ამის შემდეგ ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალმა აგამემნონმა ცისაკენ ხელები მალლა აღაპყრო და ესეთი თხოვნით შეევედრა ღმერთებს:

„ღმერთების მამათმთავარო, ძღვევამოსილო, ქვეყნის-მპყრობელო ზევსო! შენ, ჰელიოს, ყველაფრის მკოდნევე და ყველაფრის მხედველო! მდინაარებო, მიწავ და თქვენ მიწას ქვეშ მყოფნო ღმერთებო, რომელნიც სასტიკად სჯით ფიცის გამტეხელებს, მოგიწვევთ მოწამეებათ და მტკიცედ დაიცეთ ჩვენი ფიცი. თუ პარისი მენელაოსს სძლევს, ელენე და მისი მთელი სიმდიდრე და ავლა დიდება დაისაკუთროს. ჩვენი მხედრობა ამ შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნდება. გარნა, თუ მენელაოსი სძლევს და მოჰკლავს პარისს, ტროადელებმა უნდა დაგვიბრუნონ ელენე და მისი მთელი სიმდიდრე, ტროადელებმა უნდა გადაგვიხადონ აგრეთვე სათანადო ჯარიმაც. უკეთუ მეფე პრიამოსი და მისი შვილები არ მოისურვებენ ელენეს და მის სიმდიდრის დაბრუნებას და აგრეთვე ჯარიმის გადახდას, მე აქ დავჩეხები და ქარქაშში ხმალს არ ჩავაგებ, ვიდრე ელლინთა მხედრობის სურვილს არ შევასრულებ!“


ამის შემდეგ ელლინთა მთავარ-სარდალმა ბასრი ხმალით ყელები გამოჰკლადრა სამსხვერპლოდ გამზადებულ ცხვრებს. ყელგამოლადრული ცხვრები დიდხანს ებრძოდნენ სიკვდილს, მათი კისრებიდან შადრევანივით გადმოხეთქილი ანკარა სი-


სხლი მიწას გულში ღრმადა სწედებოდა. ყველა დამსწრეთა-
 განი თასებით ასხურებდნენ წითელს ღვინოს ზეარაკს და ხმა
 მალლივ ღმერთებს ევედრებოდნენ: „შენ, დიდებულო ზევსო,
 და თქვენ უკვდავო ღმერთებო! დეე, ვინც ფიცი გასტეხოს,
 ვინც დადებული პირობა არ შეასრულოს, მისი და მისი
 შვილისა და შვილი შვილის ტვინი ისე დაინთხეს, როგორც
 ამ საკურთხეველზედ შეწირული ღვინო!“

ბოლოს მოხუცმა პრიამოსმა ესე მიმართა დამსწრეთ:
 „ტროადელეზო და აქეველებო, ყური დამიგდეთ და მომის-
 მინეთ! მე ახლავე უნდა დავბრუნდე ჩემს მთა გორაკიან
 ილიონში. ჩემთვის სამძიმო იქნება ვუცქირო ჩემი შვილისა
 და მეფე მენელაოსის შებრძოლებას. ღმერთების მამათმთა-
 ვარმა ზევსმა და სხვა უკვდავ ღმერთებმა უწყიან ვინ სძლეეს
 ამ ორ მეომართა შორის, პარისი თუ მენელაოსი! მოხუცი
 მშობლის გული ვერ გაუძლებს სასიციოცხლო ბრძოლის ცქე-
 რას!“

მეფე პრიამოსი ამ სიტყვების შემდეგ ჩაჯდა ეტლში და
 მწუხარედ ჩაფიქრებული ილიონს დაბრუნდა.

ა. მიქაბერიძე





ზოტანიკური საუბარი

(გაგრძელება)



დეს შეცნიერება ისე მალლა დგას, რომ მას შეუძლებელი თითქმის აღარაფერი გააჩნია, მის ლაბორატორიაში სასწაულები ხდება, მაგრამ ამ ყოვლისშემძლე შეცნიერებასაც კი არ შეუძლიან მოამზადოს ლაბორატორიაში ის, რასაც აგრე

იდვილად ამზადებს ყველა ფოთოლი მზის სინათლის საშუალებით. რადა ეს სხივი მოხვდეს ყველა ფოთოლს, საკიროა, ფოთლიანი ტოტები იმ რიგზედ იყვნენ გაწყობილნი, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაჩრდილონ ერთმანეთი. ამისათვის ტოტები იმ ნაირად ეწყობიან, რომ ძირისანი უფრო გრძელი და განზედ გასულნი არიან, ვიდრე ზემოთნი. გეომეტრიული ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს იმ საკიროებას, რომ მზე ყველა მხრივ სცემდეს ხეს, რომ ყველა ხის ტოტი თავის ფოთლებით რაც შეიძლება მეტს ხანს იმყოფებოდეს ცხოველმყოფელ მზის სხივებ ქვეშ, არის კონუსი და ნახევარ ბურთი. მართლაც და ძალიან ბევრი ხე თავის ტოტებით წარმოადგენს კონუსს ან ნახევარ ბურთს, მეტადრე თუ ხე იზრდება თავისუფლად და გვერდებიდგან არაფერი უჩრდილებს. (იხ. სურათი № 18 სოქი), რაც შეეხება თვით ფოთლის გაწყობას, ამაზედ ქვემოდ მექნება საუბარი.

რადგანაც ტოტები, ფოთლები და თვით შტო მძიმე არის, ამიტომ შტო უნდა მაგარი იყოს, რომ დაიმგროს ამოდენი სიმძიმე, მეტადრე, როცა დიდი ქარი უბერავს გვერდიდგან. ერთი მხრივ, რაღა ღერო მაგარი იყოს, არ გადატყდეს, და მეორე მხრივ, რაღა ამ შტოს გაზრდას ნაკლები მასალა მოხმარდეს, საჭიროა იგი რაციონალურად იყოს აგებული. მართლაც და მეცნიერ მეცგერის სიტყვით, შტოს აგებულებაში თითქო დაცულია ინჟინერ-არხიტექტურული მოთხოვნილებანი—რაც შეიძლება მკირე მასალით შექმნილ იყოს დიდი სიმაგრე. ამ კანონის ძალით ხეს უნდა ჰქონდეს მილის მსგავსი ფორმა.

მართლაც და ხის შტო წარმოადგენს უთვალავ მილს, ასხმულს ერთიერთმანეთზედ: ყოველ წლივ ხეს ემატება მილის მსგავსი ზოლი.

თუმცა ხის ღერო რაციონალურად არის აშენებული და სიმაგრეც დიდი აქვს, მაინც ღონიერი ქარიშხალი ხან და ხან ამტვრევს ტოტებს და თვით, ღეროსაც. (იხ. სურათი № 19. ფიჭვის ტყე ქარისაგან დაღეწილი) დაღეწილი ხე მუდამ როდი იღუპება: იგი იკეთებს ახალ ყლორტებს, ტოტებს და ორი სამი წლის შემდეგ სრულიად ახლდება. არ იღუპება უბედურების შემდეგ ხე იმიტომ, რომ პატარაობისასვე კანში ჩაესახა რამდენიმე კოკორი შავი დღისათვის. ეს კოკორი შეიძლება უჩინარი დარჩეს ხის კანში რამდენიმე ასი წელიწადი. მაგრამ აგერ ხეს უბედურება ეწვია, ქარმა დაღეწა მთლად მისი ტოტები და ღერო, ან კაცმა მოსჭრა, ხე ამ შენახულ კოკრიდგან ჰზრდის ახალ შტოს და ორი სამი წლის შემდეგ თავის ამაყი ტანით ისევ ებრძვის და ეომება ქარს. ოღონდ პატარაობაში ყველა ხე



სურ. № 18 სოკი.

არ იკეთებს ამისთანა კოკორს; ამიტომ თუ ეს ხე ქარმა დაღე-
წა, იგი სრულიად იღუპება. ფიჭვი, ნაძვი და სოჭი, რომელთაც
არა აქვთ ასეთი კოკორი, ხშირად ქარის მსხვევლად ხდებიან.

არის ერთი ჯიშის ტირიფი (*Salix fragilis*), რომელსაც
ძალიან ადვილად ემტვრევა ტოტები. ეს მოვლენა ხისათვის
ძალიან მავნარადღებელი უნდა იყოს, მაგრამ აქ ტირიფი თითქო-



სურათი № 19 — ფიჭვის ტყე ქარისაგან დაღეწილი.

სხვა გონიერ მიზანს მისდევსო. ამ ტირიფს უფრო წყლის პირას
შებენდებიო. გაზაფხულზედ, წყლის ადიდების დროს, აზვირთე-
ბული წყალი ხშირად ემტვრევს მას ტოტებს. ამ ტოტებს წყა-
ლი სადმე ქვევით გამოორიყავს, ქვიშას და ლამს წააყრის; ამის
შემდეგ დატვრეულ ტოტებს გამოაქვთ ფესვები და ყლორ-
ტები, და ხედ იქცევიან. ამ შემთხვევაში მავნებელი მოვლენა
ტირიფს თავის გასამრავლებელ საშუალებად გადაუქცევია.


მცენარეები ცხოველების მოსაგერებლად აღჭურვილნი
არიან ეკლებით. შხამით, ბუსუსით და სხვ. მალალ ხეებს,
რასაკვირველია, ცხოველებისა არ ეშინიანთ, მაგრამ, სანამ ეს
ხეები გაიზღდებიან, ისე რომ საქონელი ვეღარ უდგებოდეს,

სანამ ესენიე შიშში არიან. ზოგი ხე მტრების მოსაგერებლად საკვირველად იქცევა. მაგალითად ტყის პანტა, სანამ ნორჩია, იკეთებს ეკლებს, რომლითაც მტერს იგერებს; მაგრამ აი მოიზარდა, საქონელი ველარ სწვდება, ეკლიანი იარაღი მას აღარ სჭირია და ივიც იხსნის ამ ფარხმალს. მართლაც და 8 10 არშინის სიმილღეზედ პანტა ეკლებს აღარ იკეთებს. გამოცდილია, რომ ბევრი ეკლიანი მცენარე, გადარგული ტყიდგან ვენახში, საცა მას საქონელი არ უდგება, ან სრულიად ჰკარგავს თავის ეკალს, ან იკეთებს ძალიან ცოტას.

თუმცა რცხილას არა აქვს ეკლები, მაინც კარგა ებრძვის საქონელს შემდეგი საშუალებით: როცა საქონელი აფუჭებს რცხილას, უკანასკნელი არ იღუპება. მოკმული ტოტების წვერი უხმება, უმაგრდება, მაგრამ ამ ტოტების ქვეით ისევ გამოაქვს ახალი ტოტები, რომელიც ისევ საქონლის ლუკმა ხდება. მოკმის შემდეგ ამასაც წვერები უხმება. ამ ნაირად რამდენიმე წლის შემდეგ რცხილის ჯაგი თავის გარშემო ისეთ მაგარ და ხშირ ტოტებით იმოსება, რომ თხებსაც კი უჭირთ მის მოკმა მაშინ ამ დაჯაგებულ რცხილას შუა გულიდგან ეზრდება შტო, რომელსაც საქონელი ველარ სწვდება.

სოლ. ქურდიანი





მეფე და მოქეიფე მღვდელი

(თარგმანი)



რთა: მდიდარი მღვდელი, იმის მაგივრად, რომ ელოცნა, ემუშავნა და მოწყალება გაეღო, არაფერს არ აკეთებდა და დროს სულ ქეიფში ატარებდა. იმისი სახლი მუდამ ეამს სავესე იყო სტუმრებით. ეს ამბავი შეიტყო მეფემ და მოინდომა უღირს მღვდლის დასჯა, რისთვისაც ბრძანება გასცა მიეყვანათ ის მღვდელი მის წინაშე. შეშინებული მღვდელი წარსდგა მეფის წინაშე, მეტი რა ღონე ჰქონდა.

— მე ვიამბეს, ბრძანა მეფემ, რომ შენ მეტად ჰყვიანი და ოხუნჯი კაცი ხარ.

სამ გამოცანას გეტყვი. იცოდე, თუ ვერ გამოიცანი, სასტიკად იქმნები დასჯილი.

პირველი გამოცანა: მითხარ, რა ვლირვარ, როდესაც ოქროს გვირგვინით თავზედ ვზივარ ტახტზედ და გარშემო ნაზირ-ვეზირნი თავს დამტრიალებენ.

მეორე გამოცანა: რა ხნის განმავლობაში შეიძლება შემოუაროს კაცმა დედა-მიწას და.

მესამე.— რასა ვფიქრობ.

მღვდელს ძალიან შეეშინდა ესეთი ძნელი გამოცანებისა, მაგრამ რა ექნა? მეფეს გამოსთხოვა რამდენიმე დღის ვადა და დალონებული შინ დაბრუნდა.

სახლს რა მიუახლოვდა, წინ თავის მენახირე შემოეყარა მენახირემ შენიშნა, რომ მისი ბატონი ვერ იყო ქეიფზედ და ჰკითხა მიზეზი.

მღვდელმა უამბო ყოველივე, რაც მის თავს იყო შენახირემ გულდასმით მოუსმინა შემდეგ მიუბრუნდა და უთხრა:

— იცით, რა უნდა მოგახსენოთ: ყველანი ამბობენ, რომ ჩვენ თვალ-ტანად ძრიელა ვგევართ ერთმანეთს. მომეცით თქვენი ტანისამოსი, ჩავიცვავე და მე ვეახლები მეფესო“ — მღვდელი სიხარულით დასთანხმდა. — თქმა და ასრულება ერთი იყო. შენახირე გამოეწყო ბატონის ტანისამოსში და დანიშნულ დღეს გამოცხადდა მეფესთან. მეფემ ვერ იცნო შენახირე.

— აბა მითხარ, რა ვღირვარ?

შენახირემ მიუგო:

— იესო ქრისტე გაყიდეს 30 ვერცხლად, ამიტომ, მე ვგონებ, რომ შენ 29 ვერცხლად თუ ვღირები, ვინაიღვან, დამეთანხმები, ქრისტე შენზედ უფრო ძვირად ღირდა. მეფეს მოეწონა პასუხი, თანაც გაეცინა.

— კარგი, აბა ეხლა მითხარ, რამდენ ხანს შემოუვლის ადამიანი დედა-მიწას?

— უნდა აბძანდეთ მზის ამოსვლისას და სულ უნდა მისდით მას; მეორე დღეს, დილით, აქვე იქნებით. ამ ნაირად დედა-მიწას 24 საათში შემოუვლით.

— მაშ ეხლა მითხარ, რასა ვფიქრობ?

— შენა ფიქრობ, რომ მე მღვდელი ვარ, ნამდვილად კი მე იმისი შენახირე ვარ, მოვედი ჩემი ბატონის მაგივრად გამოცანების ასახსნელად.

მეფე გაოცდა, თანაც ძრიელ კმაყოფილი დარჩა შენახირისა. მეფემ შოინდომა მღვდლის ქონების ჩამორთმევა და შენახირისათვის მიცემა, მაგრამ შენახირემ არ ინდომა ესეთი საჩუქარი.

— მეფე; აპატივე ჩემს ბატონს, მე სხვა საჩუქარი არ მინდოა,“ შეეხვეწა შენახირე.

მეფემ კოტა ყოყმანის შემდეგ აპატივა მღვდელს. მღვდელი ამის შემდეგ სრულიად გასწორდა: დაანება თავი ქეიფს და მხურვალედ შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას.

ვასო ჯაფარიძე





შ ა რ ა ლ ა

პირველად ორი ასოა
ნაწილი სასყიდელისა,
შედევად შემოდებული
უპირულობის ჩვენისა.
ბოლოშიც ორი ასოა,
ხშირადა ხმარობს რაქელი,
მოფერების დროს გამოსთქვამს,
როცა რამე აქვს სათქმელი.
შეერთებული თუ გნებავთ,
არის პირუტყვის სხეული
ჩვენში იციან მირთმევა,
საქმელად გამორჩეული.

ვანო ჭიჭინაძე

10. ცხრიანი და ათიანი

ამოარჩიეთ ბანქოებიდან აგურის ცხრიანი და წკერტის ათიანი. აჩვენეთ მაყურებელთ. შემდეგ უთხარით რომელსამე შეურიოს ეს ორი ბანქო სხვა ბანქოებში.

აურიეთ ბანქოები, შეუბერეთ და დაპკარით ორჯერ-სამჯერ თილისშის წკებლა: ამორჩეული ბანქოები ზევით მოექცევიან.

ახსნა: წინდაწინვე უნდა ამოარჩიოთ ზემოხსენებული ბანქოების გარდა აგრეთვე ორი სხვა. აგურის ათიანი და წკერტის ცხრიანი, რომელნიც ბანქოს ზემოდან დაადოთ.


ბანქოს არევის დროს უნდა ეცადოთ, რომ ზემო ბანქოები სხვას არ შეუტყობთ. მაყურებელთ აჩვენებთ ამ ორს, წინდო-წინვე აღებულ, ბანქოებს.

თვალმაქცობა დამყარებულია მაყურებელის დაუკვირვებლობაზედ. პირველად თქვენ აჩვენებთ აგურის ცხრიანი და წყერტის ათიანი, ხოლო მეორედ წყერტის ცხრიანი და აგურის ათიანი. მაყურებელს ახსოვს, რომ ორივე წითელი ფერის ბანქო იყო, ერთი ცხრიანი, მეორე ათიანი, ეხლაც იმავე ბანქოებსა ჰხედავს, მაგრამ აღარ ახსოვს-კი რომელი იყო ცხრიანი და რომელი ათიანი.


გიგო ჯაფარიძე

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ბრიუსელის პატარა ქართვოლ ვახტანგ ჯაბადარისა და მის ამხანაგებისაგან).



ფრი



ს

მე-7 №-ში მოთავსებულ ჩეხუსის აღსნა:

კაქკაქკმა უთხრა ყვავსაო, ჩავარდი გულის ხმასაო, კაცი რომ დაიკუზება, შენთვის აიღებს ქვასაო.



ყოველ დღიური გაზეთი

„ამირანი“

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი:

წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ	—7 მანეთი.
ნახევარი წლით	„ —4 მანეთი.
ერთი თვით	„ —90 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი პირველი)

წლიური ფასი ხელის-მომწერთათვის 5 მანეთი, ნახევარი წლით—3 მანეთი. სამი თვით 1 მან. 60 კაპ.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში; „ნაკადულის“ რედაქციაში და „იდელის“ სტამბაში (კონსტანტინოპოლის ქუჩა № 6).

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში“ ისილორე კვიცარიძესთან.

открыта подписка на 1908 годъ
на газету

ЗАКАВКАЗЬЕ

ТРЕТИЙ ГОДЪ ИЗДАНИЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлиссѣ:	Съ пересылкой въ другіе города
на годъ 6 руб.—коп.	на годъ 8 руб.—коп
на полгода 3 руб. 50 коп.	на полгода 4 руб. 50 коп

Помѣсячно повсюду 75 коп., отдѣльный № 5 коп. Заграницей вдвое

Тифлиссѣ Головинскій пр., д. Манташева, № 6.

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА



მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საქმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მკირვე წლოვანთათვის

12 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“. 2-რე, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.
- 2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევე ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.